472
1938

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს ს ს რ განათლების სახალხო
კომისარიატის ბრძანებათა და
განკარგულებათა

# კრებული

№ 15-16 დეკემბერი 1938 წ.

472
1938

3414

## შინაარსი

1. დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლის საანგარიშო მოხსენების სქემა . . . . 2
2. განძთლების განყოფილებათა გამგეების რესპუბლიკური თათბირის მიერ მიღებული ღონისძიებანი . . . . . . . . . . . . . . . . . . . 4
3. დებულება სკოლაში მეთოდური მუშაობის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . 12
4. დებულება მასწავლებელთა საუბნო-ჯგუფური, საქალაქო და რაიონული მეთოდური თათბირის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . 14
5. დებულება რაიონის გან. განყოფილების სარაიონო პედაგოგიური კაბინეტის შესახებ . . . . 16
6. მასწავლებელთა ატესტაციის შედეგების შესახებ. 19
7. წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის შესახებ . . . . . . . . 21
8. სასკოლო მშენებლობის შესახებ . . . . . . . . 24
9. სკოლის პასპორტიზაციის შესახებ . . . . . . . 27
10. ბრძანება № 5555, 1938 წ. 3 დეკემბერი, რაიგანყოფილებათა გამგეების რესპუბლიკური თათბირის მიერ მიღებულ ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . 28
11. საახალწლო ნაძვის ხის მოწყობის შესახებ . . 29
12. სკოლებში საზამთრო არდადეგების ჩატარების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . 31

განსახკომი
თბილისი — 1938

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლის საანგარიშო მოხსენების სქემა

სასწავლო წლის.............................მეოთხედის შედეგების შესახებ

## I. სასწავლო საალმზრდელო მუშაობა:

1. სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის გეგმები (სკოლის, დირექციის, კლასის ხელმძღვანელის, მასწავლებლის) და მათი შესრულება.

2. მოსწავლეთა აკადემიური წარმატების მაჩვენებლები, განსახკომის მიერ დამტკიცებული საალრიცხვო ფორმის მიხედვით და მისი ანალიზი:

ა) მოსწავლეთა აბსოლუტური მოსწრების მაჩვენებლები ცალკე კლასების მიხედვით ყველა სასწავლო დისციპლინაში ერთად.

ბ) მოსწავლეთა აბსოლუტური წარმატების მაჩვენებლები ცალკე კლასების მიხედვით თვითეულ სასწავლო დისციპლინაში.

გ) ფრიადოსან მოსწავლეთა რაოდენობა ცალკე კლასების მიხედვით ყველა სასწავლო დისციპლინაში ერთად.

დ) ფრიადი წარმატების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა ცალკე კლასების მიხედვით თვითეულ სასწავლო დისციპლინაში.

ე) კლასები, რომელთაც აბსოლუტური მოსწრება ყველა სასწავლო დისციპლინების მიხედვით 100 პროცენტი აქვთ და მათი ხელმძღვანელები.

ვ) ცალკე სასწავლო დისციპლინები, რომელთაც 100 პროცენტი აბსოლუტური მოსწრება აქვთ და მათი მასწავლებლები.

3. არაქართულ სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურისა და არარუსულ სკოლებში რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესების შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა რეალიზაციისათვის გატარებული ღონისძიებები და შედეგები.

4. წერითი მუშაობის მდგომარეობა (თემატიკა, რაოდენობა, გასწორება), ნაკლი და მიღწევები.

5. მუშაობა აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან და შედეგები.

6. მუშაობა მეორეწლიან ბავშვებთან, მათი აკადემიური წარმატების მაჩვენებლები.

7. მოსწავლეთა შინაგანაწესის დარღვევის კონკრეტული შემთხვევები და მიღებული ღონისძიებანი.

8. კომუნისტური აღზრდის ძირითად ღონისძიებათა გატარების მდგომარეობა (საბჭოთა პატრიოტიზმის, ინტერნაციონალიზმის, ანტირელიგიური აღზრდის, ესტეტიკური აღზრდის, ფიზიკური აღზრდის, სოციალისტური საკუთრების დაცვის, შეგნებული დისციპლინის დანერგვისა და სხვათა ხაზით).

9. სოციალისტური შეჯიბრების გაშლა მოსწავლეთა და მასწავლებელთა შორის და მისი შედეგები.

10. სასკოლო ორგანიზაციები (კომკავშირის, პიონერ ორგანიზაციის, მოსწავლეთა სტაროსტატი) და მათი მონაწილეობა სკოლის სასწავლო-საალმზრდელო მუშაობაში.

11. მოსწავლეთა დღის რეჟიმი და საშინაო დავალებათა ორგანიზაცია.

## II. მეთოდური მუშაობის ორგანიზაცია:

1. პედაგოგიური საბჭოს მუშაობა.

2. საგნობრივი და საკლასო კომისიების მუშაობა.

3. ღია გაკვეთილების ორგანიზაცია.

4. ახალგაზრდა მასწავლებელთათვის დახმარების ორგანიზაცია.

5. მოწინავე სკოლებთან და მასწავლებლებთან კავშირი.

6. მასწავლებელთა დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმა.

7. მასწავლებელთა აკადემიური და იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის მუშაობის სახეები და შედეგები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### III. კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობა:

1. მოსწავლეთა აკადემიური და თვითშემოქმედებითი წრეების მუშაობა.
2. სასკოლო ბიბლიოთეკა და კლასგარეშე კითხვის ორგანიზაცია.
3. სკოლის კედლის გაზეთი.
4. თავისუფალი ორგანიზაციები.
5. ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა.
6. მოსწავლეთა დასვენება-გართობის ორგანიზაცია.
7. მუშაობა მშობლებთან.

### IV. სკოლის ხელმძღვანელობა.

1. სკოლის დირექციის მუშაობა.
2. საუბნო-ჯგუფურ და რაიონულ-მეთოდურ თათბირების მიერ გაწეული დახმარება.
3. რაიონული პედ. კაბინეტის მიერ გაწეული დახმარება.
4. განათლების განყოფილების ხელმძღვანელობა.

### V. ღონისძიებანი შემდგომი მუშაობისათვის.

**შენიშვნა:** საანგარიშო მოხსენება დგება ორ ცალად: ერთი რჩება სკოლაში, მეორე აკადემიური წარმატების სააღრიცხვო ფორმასთან ერთად იგზავნება განათლების განყოფილებაში არაუგვიანეს ხუთი დღისა მეოთხედის დასრულებიდან, განათლების განყოფილება მიღებული მასალების ანალიზის საფუძველზე, ძირითადად ამავე სქემის მიხედვით ადგენს საანგარიშო მოხსენებას და მოსწავლეთა აკადემიურ წარმატების შეჯამებულ ცნობებთან ერთად აგზავნის განსახკომში არაუგვიანეს ათი დღისა მეოთხედის დასრულებიდან.

საქ. სსრ განათლების სახ. კომისარიატის საშუალო სკოლის სამმართველოს უფროსი **ბ. კიზირია**

დაწყებითი სკოლის სამმართველოს უფროსი **უ. ობოლაძე**

საჯარო ბიბლიოთეკა

ვამტკიცებ
განსახკომის მოადგილე ლ. [illegible]
15/XII—33 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განათლების განყოფილებათა გამგეების რესპუბლიკური თათბირის მიერ მიღებული ღონისძიებანი

## I მეოთხედის შედეგების შესახებ

სსსრ რაიონული და საქალაქო სახალხო განათლების განყოფილებების, ავტონომიური სსრ და ოლქის განათლების კომისრებთან გაერთიანებული თათბირი, რომელმაც მოისმინა სსსრ განათლების სახალხო კომისრის ამხ. გ. კ ი კ ნ ა ძ ი ს მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა 1938/39 სასწავლო წლის პირველი მეოთხედის შედეგების შესახებ,—აღნიშნავს, რომ საქ. კ. პ. (ბ) ცეკასა და საქართველოს სახკომსაბჭოს ყოველდღიური დახმარებისა და ხელმძღვანელობის შედეგად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული სკოლები 1938/39 სასწავლო წელს უფრო მომზადებულად შეხვდნენ, ვიდრე წინა წლებში: სკოლები უზრუნველყოფილ იქნა სასწავლო გეგმებით, პროგრამებით და ძირითად სახელმძღვანელოებით; სასწავლო წლის დაწყების წინ ყველა რაიონში ჩატარდა მასწავლებელთა მეთოდური თათბირები, სადაც განხილულ იქნა ახალი სასწავლო გეგმები და პროგრამები და სკოლის დირექტორებს (გამგეებს), სასწ. ნაწილის გამგეებს, კლასის ხელმძღვანელებს და მასწავლებლებს მიეცათ საჭირო მითითებანი გეგმიანი მუშაობის დანერგვისა და სასწავლო სააღმზრდელო მუშაობის უკეთ დაყენებისათვის; ძირითადი ნაწილი სკოლებისა სასწავლო წლის დაწყებისათვის უზრუნველყოფილი იყო შესაფერისი პედაგოგიური კადრით; I მეოთხედის განმავლობაში საგრძნობლად გაუმჯობესდა და გაძლიერდა განსახკომის და ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელობა სკოლებზე: განსახკომის მიერ შემოწმებულ იქნა 17 რაიონის 53 სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობა, 12 რაიონის—27 არაქართულ სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობა; ქალ. თბილისსა და და 4 რაიონში 26 სკოლა მთლიანად იქნა გამოკვლეული და სხვა.

ამასთან ერთად თათბირი აღნიშნავს, რომ სკოლებში ნორმალური მუშაობის გაშლისა და მის წინაშე დასმული ამოცანების მართებულად გადაწყვეტის საქმეს ხელს უშლიდა ის რომ:

მთელ რიგ რაიონების მიერ სასწავლო წლისათვის მზადება არადროულად დაიწყო (ადიგენი, ახალციხე, ასპინძა, ბორჩალო, ბაშკიჩეთი, ზუგდიდი, ყვარელი, ცაგერი, ხობი), მზადების პერიოდში ადგილზე მუშაობის შემოწმება არ მიმდინარეობდა და მუშაობის მიმდინარეობის შესახებ რიგი რაიონებისა დაწესებულ ვადებში ანგარიშს არ უდგენდნენ განსახკომს (ჩხარი, ქვემო-სვანეთი, ონი, კასპი, თიანეთი, ბორჩალო, თბილისის რაიონი), ამ რაიონებში ადგილობრივი რაიონული და სოფლის ორგანიზაციები ახალი სასწავლო წლისათვის მზადებას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდნენ, არ ამოწმებდნენ, არ სახავდნენ მუშაობის გაუმჯობესებისათვის ღონისძიებებს, არ ეხმარებოდნენ განათლების ორგანოებს; ცუდი იყო ბევრგან რემონტის ხარისხი (ადიგენი, ბორჩალო, ლუქსემბურგი), კაბინეტ-ლაბორატორიებით სკოლების უზრუნველყოფის შესახებ მხოლოდ 25 რაიონმა გააფორმა ხელშეკრულება სახელგამთან, საბავშვო და სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის მიმდინარე წელს გამოიცა მხოლოდ ერთი სახელწოდების წიგნი, სკოლების მომარაგება მიმდინარეობდა

გასულ წლებში გამოცემული წიგნებით და არადამაკმაყოფილებლად: სკოლების მომარაგება რვეულებით, პროგრამებით, სახელმძღვანელოებით და სხვა სასწავლო ნივთებით, განსაკუთრებით სოფლებში (რომლებსაც ამარაგებს ცეკავშირი) ცუდად იყო დაყენებული (აფხაზეთის ასსრ, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი, სიღნაღის, ასპინძის, ცხაკაიას, დუშეთის, წითელი წყაროს და სხვა რაიონები); იმის გამო, რომ აზერბაიჯანის სსრ და სომხეთის სსრ განსახკომებს და სახელგამებს არ გამოუცია ყველა სახელწოდების სახელმძღვანელო და პროგრამები, საქართველოშიც არ შემოზიდულა ასეთები; მთელმა რიგმა რაიონებისამ დაარღვიეს პედაგოგიური კადრების განაწილების დროს მოცემული კალენდარული ვადები, გვიან წარმოადგინეს 1938/39 სასწავლო წლისათვის პედკადრების განაწილების პროექტი, ხოლო შემდეგ ითხოვდნენ ისევ შეცვლას (ახალქალაქის, ბაშკიჩეთის, ბოგდანოვკის, ზემო-სვანეთის, ზუგდიდის, თბილისის და სხვა); ზოგიერთ სკოლას ჯერაც არ აქვს შედგენილი წლიური სასწავლო აღმზრდელობითი და სხვა გეგმები (ქ. თბილისის 106, 78, 100, 57, 98, 41, 49 სკოლები), ზოგმა სკოლამ კი, შეადგინა უვარგისი გეგმები (კეთილარის ა/ს სკოლა — აბაშის რაიონი, ავლევის საშ. სკოლა — ხაშურის რაიონი), რიგ სკოლებს არ შეუსრულებია პირველი მეოთხედის გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები — საირმის არა სრული საშუალო სკოლა (ცაგერის რაიონი) მათემატიკურ დისციპლინებში. ცუცხვათის არასრული საშუალო სკოლას (ტყიბულის რაიონი) — ქართულ ენასა და ლიტერატურაში, კავთისხევის საშუალო სკოლას (კასპის რაიონი) — ისტორიაში, სუჯუნის საშ. სკოლას (აბაშის რაიონი), — ბუნებისმეტყველებაში, ციხეთის არასრულ საშუალო სკოლას (ცხაკაიას რაიონი) — ბუნებისმეტყველებაში; მთელ რიგ სკოლებში საკმაო რაოდენობით არ ტარდებოდა წერითი სამუშაოები იმის გამოც, რომ ცეკავშირის მიერ სოფლის სკოლები არაა მომარაგებული რვეულებით (კასპის, ცხაკაიას, ორჯონიკიძის, აბაშის და სხვა რაიონები). არ ასწორებდნენ ნამუშევრებს გულდასმით და წესიერად — კალინოვკისა და აფენის სკოლა (ლაგოდეხის რაიონი), ვაქირის ა/ს საშ. სკოლა (სიღნაღის რაიონი). ასეთივე მდგომარეობაა ზოგიერთ სკოლაში ტყიბულის, ლაგოდეხის, სიღნაღის და სხვა რაიონებში; ზოგიერთ სკოლაში გადატვირთულნი არიან განსაკუთრებით რუსული ენის, მათემატიკის და ქართული ენის მასწავლებლები. 20 სკოლას დღემდის აკლია მასწავლებელი (რუსული ენის, მათემატიკის, ქართული ენისა და ლიტერატურის): მაღაროს ა/ს საშ. სკ. (სიღნაღის რაიონი), გომარეთის საშ. სკ. (ბაშკიჩეთის რ.), ზვარეთის საშ. სკ. (ონის რ.), ხეობის ა/ს. საშ. სკ. (დუშეთის რ.), ლენტეხის საშ. სკ. (ქვ. სვანეთის რ.), ნაფარეულის საშ. სკ. (თელავის. რ.) და სხვ.

ცუდად მოწესრიგებულია მოზარდთა სკოლების მუშაობა რესპუბლიკაში, ყველა მოზარდი არაა ჩაბმული სკოლაში, სკოლები არაა უზრუნველყოფილი სასწ. გეგმებით, პროგრამებით და სხვა.

მასწავლებლები არ არიან მომარაგებული პედაგოგიური და მეთოდური ლიტერატურით.

მოსწავლეთა აბსოლუტური წარმატება 26 რაიონის მიხედვით მეტად დაბალია; ამ მხრივ ყველაზე უფრო კარგ მდგომარეობაშია წულუკიძის რაიონის სკოლები, სადაც ყოველი 100 მოსწავლიდან ყველა საგანში ასწრებს (არა აქვს ცუდი ნიშანი არც ერთ საგანში) 78 მოსწავლე. ყველაზე უარეს მდგომარეობაშია წითელ წყაროს რაიონის სკოლები, სადაც ყოველი 100 მოსწავლიდან ყველა საგანში მხოლოდ 53 ასწრებს; რესპუბლიკის დანარჩენი რაიონების სკოლების აბსოლუტური წარმატება 53%-დან 78%-მდე აღწევს.

თათბირი განსაკუთრებით მიაქცევს ყურადღებას იმ მდგომარეობას, რომ პირველი მეოთხედის წარმატების შედეგები მთელი რესპუბლიკის მასშტაბით სამარცხვინოდ დაბალია. ცალკე საგნების მიხედვით მთელი რიგი რაიონები, ისეთ ძირითად დისციპლინებში, როგორიც არის ქართული და რუსული ენები, არითმეტიკა, ბუნებისმეტყველება და სხვა — მოუთმენლად დაბალ წარმატების მაჩვენებლებს იძლევიან. მაგალითად ქართულსა და რუსულ ენებში და არითმეტიკაში, ბევრ რაიონში, ყოველი ასი მოსწავლიდან ცუდი, ან

ძლიერ ცუდი შეფასება აქვს 15—30 მოსწავლეს. ქართულ ენაში ალბულალის რაიონში 100 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 16 მოსწავლე, კასპის რაიონში—17 მოსწავლე, ზესტაფონის რაიონში—18 მოსწავლე, ბაღდათის რაიონში—20 მოსწავლე, გურჯაანის რაიონში—21, ხობის რაიონში—23. რუსულ ენაში ბორჯომისა და სიღნაღის რაიონებში ყოველი ასი მოსწავლიდან ვერ ასწრებს—17 მოსწავლე, ფოთში—19 მოსწავლე, ქუთაისის რაიონში—20 მოსწავლე, ყარაიაზის რაიონში—22. არითმეტიკაში ყოველი ასი მოსწავლიდან ცუდი ან ძლიერ ცუდი შეფასება აქვს წითელ-წყაროს რაიონში 21 მოსწავლეს, გურჯაანის რაიონში—22 მოსწავლეს, ჩხარის რაიონში კი—23 მოსწავლეს.

წარმატების მხრივ ზოგიერთ ცალკე რაიონში უფრო ცუდი მდგომარეობაც არის: ჭიათურის რაიონში ქიმიაში ყოველ 100 მოსწავლიდან ვერ ასწრებს—42 მოსწავლე. არითმეტიკაში—33 მოსწავლე, ფიზიკაში—42 მოსწავლე, ბუნებისმეტყველებაში—37 მოსწავლე, ბაღდათის რაიონში—ყოველ ას მოსწავლიდან ვერ ასწრებს ბუნებისმეტყველებაში—31 მოსწავლე, ფიზიკაში—40, სსრკ კონსტიტუციაში—40 მოსწავლე, ალგებრაში—30 მოსწავლე, ხობის რაიონში—ყოველი ასი მოსწავლიდან ვერ ასწრებს რუსულ ლიტერატურაში—26 მოსწავლე, ამდენივე ალგებრაში და არითმეტიკაში.

სწავლების დაბალი ხარისხი სასწავლო წლის პირველ მეოთხედში, გარკვევით სჩანს აგრეთვე კარგოსან და ფრიადოსან მოსწავლეთა სიმცირეში; მთელ რიგ რაიონებში ფრიადოსან და კარგოსან მოსწავლეთა რიცხვი 20-დან 25% არ აღემატება. ასეთი რაიონებია: ბაღდათი, გურჯაანი, ზესტაფონი, კასპი, სიღნაღი, ქუთაისი, ჩხარი, ფოთი, ორჯონიკიძე, ხაშური, აჭარის ასსრ და სხვა.

თათბირი აღნიშნავს რიგ სკოლებში სააღმზრდელო მუშაობის დაბალ ხარისხს, ხულიგნობის ცალკეულ შემთხვევებს: (სიღნაღის რაიონის ანაგის საშ. სკოლა, კავთისხევის საშ. სკოლა, თბილისის 79 სკოლა, წითელი წყაროს რუს. საშ. სკ. და სხვ.) გაკვეთილების უნებართვოდ დატოვებას, ქუჩებში ტრამვაის ვაგონებში, საზოგადოებრივ ადგილებში მოსწავლეთათვის შეუფერებელი საქციელის გამოვლინების ხშირ შემთხვევებს და სხვა.

1938/39 სასწავლო წლის I მეოთხედის ასეთი ცუდი შედეგის მიზეზად თათბირი თვლის წინა წლების ცუდ მუშაობას, მიმდინარე წელში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სუსტ ორგანიზაციას, სკოლის შესახებ პარტიისა და ხელისუფლების დადგენილებათა რეალიზაციისათვის არასაკმაოდ ბრძოლას. თათბირი აღნიშნავს, რომ პირველი მეოთხედის ამგვარი სამარცხვინო მაჩვენებლები შედეგია მასწავლებელთა მიერ გაკვეთილის—სწავლების ორგანიზაციის ამ ძირითადი ფორმის - ხშირად არადამაკმაყოფილებლად მომზადება-ჩატარებისა, და სკოლის დირექტორის, სასწ. ნაწილის გამგისა და კლასის ხელმძღვანელის, მოუქნელი მუშაობისა.

არსებულ ნაკლოვანებათა ძირითად მიზეზად თათბირს მიაჩნია აგრეთვე ის გარემოება, რომ სახალხო განათლების საქმის, როგორც რესპუბლიკური ისევე რაიონული ხელმძღვანელი ორგანოები, სამეცნიერო-პედაგოგიური დაწესებულებანი, პედაგოგიური კაბინეტები, სკოლის დირექტორები (გამგეები) და სასწავლო ნაწილის გამგეები მცირე ყურადღებას აქცევენ მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკურ და პედაგოგიურ-მეთოდური კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს, არ უწევენ მასწავლებლებს კონკრეტულ დახმარებას საუბრების, სემინარების, ლექციების ჩატარებით, არ იყენებენ გამოცდილ მასწავლებლებს, არ აქცევენ სკოლებისა და მასწავლებლების მეთოდურ-პედაგოგიური ხასიათის ლიტერატურით უზრუნველყოფის საქმეს საკმაო ყურადღებას, არ არის დაწესებული სისტემატური მეთვალყურეობა და კონტროლი მასწავლებლის მუშაობაზე, არ ეწევა ინდივიდუალური დახმარება ჩამორჩენილ მოსწავლეებს, არ სწარმოებს მუშაობა მშობელთა შორის ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის. სოციალისტური შეჯიბრება, როგორც სწავლების სტიმულირების უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტორი არასათანადოდ არის ორგანიზებული და სხვა.

პირველი მეოთხედის არადამაკმაყოფილებელ შედეგების მიზეზად თათბირს მიაჩნია აგრეთვე ის არაჯანსაღი მიდრეკილება მთელი რიგი მასწავლებლების მხრივ, რომელიც გამოიხატება პირველი მეოთხედის განმავლობაში მოსწავლეთა შეფასებაში განსაკუთრებულ სიძუნწის გამოჩენაში, იმ მოსაზრებით, რომ ამ ზომის საშუალებით აამაღლონ მოსწავლის პასუხისმგებლობა შემდეგ მეოთხედებში.

ამასთან ერთად თათბირი აღნიშნავს იმასაც, რომ რიგ ცალკეულ სკოლებში ადგილი აქვს მოსწავლეთა ცოდნის შეფასებისას ძიუღებელ ლიბერალიზმს. თათბირი ამ მოვლენის აშკარა გამოხატულებად თვლის ხაშურის რაიონის მიერ წარმოდგენილ 1938/39 სასწავლო წლის პირველი მეოთხედის წარმატების მაჩვენებლებს.

თათბირი, სწავლა-აღზრდის საქმის ამაღლობის ერთერთ ძირითად შემაფერხებელ მიზეზად თვლის იმას, რომ განათლების განყოფილებანი გამოკვლეული სკოლების, მეოთხედის და წლიური მუშაობის შედეგების განზოგადოების საქმეს არ აქცევენ შესაფერ ყურადღებას, თათბირი ამ უყურადღებობის გამოვლენად თვლის იმ ფაქტს, რომ დღემდე პირველი მეოთხედის შედეგები არაა დამუშავებული რაიონების უმეტეს ნაწილში, ხოლო სადაც დამუშავებულია კონკრეტულად არაა მოცემული ღონისძიებანი ცალკე სასწავლო დისციპლინების სწავლების საქმეში არსებული ძირითადი ნაკლისა და მათი აღმოფხვრის საშუალებების შესახებ.

თათბირი აღნიშნავს მთელი რაიონების უპასუხისმგებლობას აკადემიური წარმატების მაჩვენებლების პირველი მეოთხედის შედეგების წარმოდგენის საქმეში: მიუხედავად იმისა, რომ I მეოთხედის შედეგებზე სპეციალური მოხსენება იყო დასმული რესპუბლიკურ თათბირზე, ეს მასალები ჯერაც არა აქვთ წარმოდგენილი: ახალქალაქის, ახალციხის, ბოგდანოვკის, ზემოსვანეთის, თიანეთის, და ონის რაიონების განათლების განყოფილებებს და აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის განსახკომებს; ხოლო დაგვიანებით წარმოადგინეს: ადიგენის, ამბროლაურის, ბორჩალოს, გეგეჭკორის, გორის, დუშეთის, ვანის, ზუგდიდის, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სამტრედიის, ქვ. სვანეთის, ყაზბეგის, ყვარელის, ჩოხატაურის, წალენჯიხის და ჩხოროწყუს რაიონებმა.

1938/39 სასწავლო წლის პირველი მეოთხედის აბსოლუტური წარმატების სამარცხვინო მდგომარეობისა და ცალკე დისციპლინების მიხედვით არსებული უაღრესად დაბალი მაჩვენებლების ლიკვიდაციისათვის, უახლოეს მომავალში, როგორც ცალკე სასწავლო დისციპლინების მიხედვით, აგრეთვე საერთოდ აბსოლუტური წარმატების ამაღლობის მისაღწევად თათბირი აუცილებლად თვლის გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

## სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის ხაზით

1. განათლების განყოფილებებმა, სკოლებზე სისტემატური კონტროლის დაწესებით მიაღწიონ იმას, რომ წლის დასაწყისში შედგენილი სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის გეგმები წარმოადგენდეს სკოლის ყოველდღიურ მუშაობის ამოსავალს, იმ ვარაუდით, რომ ყველა სკოლა გეგმით გათვალისწინებულ საკითხს ასრულებდეს დროულად და მაღალი ხარისხით.

2. რაიონის განათლების განყოფილებებმა ინსპექტორებისა და რაიონულ პედაგოგიურ კაბინეტების მუშაკთა საშუალებით სპეციალურად შეისწავლონ ცალკეულ სკოლებში ცხრილის შედგენის საქმეში არსებული დამახინჯებანი და უზრუნველყონ, საჭიროების შემთხვევაში, ცხრილების ადგილზევე შესწორება, თანახმად საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. 1935 წ. 3/9 დადგენილებისა.

3. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს გაკვეთილის, როგორც სწავლების ორგანიზაციის ძირითადი ფორმის, ხარისხის ამაღლებას, ყოველმხრივად მომზადებულად, შინაარსიანად და ნაყოფიერად ჩატარებას, განათლების განყოფილებებმა სისტემატური კონტროლი დააწესონ სკოლებზე ამ მიმართულებით, მიღწეული იქნეს ის მდგომარეობა, რომ სკო-

ლაში ყოველდღიურად მოწმდებოდეს დირექტორისა და სასწავლო ნაწილის გამგის მიერ ორორი გაკვეთილი მაინც, სკოლის დირექტორებმა (გამგეებმა), სასწავლო ნაწილის გამგეებმა უზრუნველყონ მასწავლებლისათვის ყოველდღიურ მუშაობაში კონკრეტული დახმარების გაწევა.

4. არაქართულ სკოლებში ქართული ენისა და არარუსულ სკოლებში რუსული ენის სწავლების შემდგომ მაღალსაფეხურზე ასაყვანად ყველა განათლების განყოფილებამ: ა) სასწავლო წლის მეორე მეოთხედის ბოლოსათვის შეისწავლოს ამ დისციპლინების სწავლების მდგომარეობა რაიონში არსებულ ყველა სკოლაში, ბ) ფართოდ გაშალოს მეთოდური მუშაობა არარუსული სკოლების რუსული ენისა და არაქართული სკოლების ქართული ენის მასწავლებელთა შორის, გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მასწავლებელთა უზრუნველყოფას მეთოდურ-პედაგოგიური ლიტერატურით, დ) უახლოეს მომავალში შეავსოს არაქართული სკოლების ბიბლიოთეკები ქართული საბავშვო წიგნებით და ქართული სკოლები—რუსული საბავშვო წიგნებით, ე) 10 დღის ვადაში წარმოადგინონ განსახკომში რუსული ენის იმ მასწავლებელთა სიები და სათანადო ცნობები, რომლებმაც არ იციან რუსული ენა და უნდა იქნენ შეცვლილნი.

განათლების სახალხო კომისარიატმა უახლოეს მომავალში: ა) უზრუნველჰყოს არაქართული სკოლების ქართული ენის მასწავლებლებისა და რუსული სკოლების რუსული ენის მასწავლებლებისათვის მეთოდური ხასიათის წერილების და მითითებების შედგენა-გამოცემა, ბ) უზრუნველჰყონ სკოლები სწავლებისათვის საჭირო დიდაქტიკური ხელსაწყოებითა და მასალებით. გ) დააჩქაროს რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონების გამოცემისა და ადგილებამდე დაყვანის საქმე, დ) დაამუშაოს მითითებანი ქართულსა და რუსულ ენაში ჩასატარებელი წერითი მუშაობის თემატიკის, წერითი მუშაობის რაოდენობისა და გასწორების ხერხების შესახებ.

5. მშობლიურ ენებსა და მათემატიკაში წერითი მუშაობის დაყენების საქმის სათანადოდ ორგანიზების მიზნით განათლების განყოფილებებმა რაიონული პედაგოგიური კაბინეტების საშუალებით შეისწავლონ რაიონის სკოლებში წერითი მუშაობის თემატიკის, სახეების, მათი ცალკე კლასების მიხედვით რაოდენობისა და სხვა ამასთან დაკავშირებული საკითხები. მოაწყონ წერითი მუშაობის საუკეთესო ნიმუშების გამოფენები, უზრუნველყონ საუკეთესო მასწავლებელთა მუშაობის ხერხებისა და მეთოდების გაცნობა მასწავლებელთა ფართო მასებისათვის. განათლების სახალხო კომისარიატმა 15 იანვრისათვის მისცეს რაიონის პედაგოგიურ კაბინეტებსა და სკოლებს მითითებანი წერითი მუშაობის თემატიკის, სახეების ოდენობის, გასწორებისა და სხვათა შესახებ, ცალკე დისციპლინებისა და კლასების მიხედვით.

6. თათბირი დაუშვებლად თვლის იმ გარემოებას, რომ მთელ რიგ სკოლებში კლასის ხელმძღვანელობა ფორმალურ ხასიათს ატარებს, კლასის ხელმძღვანელები არ ატარებენ კლასის მასწავლებელთა თათბირებს, არ სწავლობენ მოსწავლეთა წარმატებას კლასებში და ყველა საგნებში და არ ღებულობენ სათანადო ღონისძიებებს შემდგომი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

აქედან გამომდინარე თათბირი აუცილებლად თვლის, რათა სკოლების დირექტორებმა (გამგეებმა), სასწავლო ნაწილის გამგეებმა და განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა კლასის ხელმძღვანელისათვის სისტემატური დახმარების აღმოჩენით, კლასების საუკეთესო ხელმძღვანელების გამოცდილებათა გაზიარებით აამაღლონ კლასის ხელმძღვანელის მუშაობა იმ გვარად, რომ მან ყოველდღიურად იცოდეს კლასის მოსწავლეთა წარმატების მდგომარეობა, მოსწავლეთა დატვირთვა და მუშაობა სკოლასა და სკოლის გარეშე, შეეძლოს დარაზმოს კლასი წარმატების ამაღლებისათვის ბრძოლის საქმეში, წესიერად უხელმძღვანელოს მოსწავლეთა ჩაბმას სოცშეჯიბრებაში. მოაწყოს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება და ჩამორჩენილთათვის დახმარება.

7. ზოგიერთ სკოლაში დღემდე არსებულ, მოსწავლეთა უდისციპლინობის აღკვეთის მიზ-

ნით განათლების განყოფილებებმა და სკოლებმა მიიღონ გადამწყვეტი ზომები — უზრუნველჰყონ მათზე სპეციალური მეთვალყურეობის დაწესებით ინდივიდუალური მიდგომის მეთოდების გამოყენება, ასეთ ბავშვთა ოჯახებთან მჭიდრო კავშირის დამყარება და ამით უზრუნველყონ სკოლებში დისციპლინის დარღვევის შემთხვევების აღკვეთა.

8. განათლების განყოფილებებმა და სკოლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მეორეწლიან და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეთა შორის მუშაობას. ადგილებზე შესაფერისად მოაწყონ მეორეწლიან და ჩამორჩენილ ბავშვებთან მუშაობა, ოჯახებთან მჭიდრო კავშირის დაჭერის საშუალებით უზრუნველყონ ასეთი ბავშვებისათვის სათანადო სამეცადინო პირობების შექმნა. რაიონულმა პედაგოგიურმა კაბინეტებმა გამოავლინონ მეორეწლიანებთან და აკადემიურად ჩამორჩენილებთან საუკეთესოდ მომუშავე მასწავლებლები, განაზოგადონ მათი მუშაობა რაიონის სკოლებში. გაზ. „საბჭოთა მასწავლებელმა" და ჟურ. „კომუნისტური აღზრდისათვის" განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მეორეწლიანებთან და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან მუშაობის საკითხების გაშუქებას.

9. განათლების განყოფილებებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოწაფეთა ცოდნის შეფასებაში არსებული ლიბერალიზმის შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლას, კონკრეტულად შეისწავლონ სკოლებში წარმატების შეფასების საქმე. აწარმოონ მასწავლებელთა შორის ახსნა-განმარტებითი მუშაობა ლიბერალიზმის აღკვეთის შესახებ და მიიღონ სათანადო ორგანიზაციული ზომები იმ სკოლების მასწავლებლებისა და ხელმძღვანელების წინააღმდეგ, რომელნიც წარმატების შეფასებას აყალბებენ.

10. თათბირი აღნიშნავს აგრეთვე, რომ რესპუბლიკის სკოლების საკმაოდ დიდ ნაწილში დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები არ ესწრებიან სისტემატურად მასწავლებლებს გაკვეთილებზე, არ უწევენ კონკრეტულ ხელმძღვანელობას და კონტროლს.

თათბირი მოითხოვს გადაჭრით გაუმჯობესებულ იქნეს მასწავლებელზე სკოლის დირექტორის (გამგის) და სასწავლო ნაწილის გამგის ხელმძღვანელობა: წინასწარ შედგენილი გეგმით მასწავლებლის გაკვეთილებზე დასწრება — მასწავლებლისათვის მეთოდური რჩევა-დარიგების მიცემა, საჭირო შემთხვევაში საკითხის განხილვა პედსაბჭოს სხდომაზე და სხვა.

11. გადაჭრით გაუმჯობესებულ იქნეს განათლების ორგანოების და სკოლის მუშაობის მთლიანი და ცალკე სასწავლო დისციპლინის დაყენების შემოწმება, დახმარება, ღონისძიების დასახვა, შესრულების შემოწმება და სხვ.

12. თათბირი აუცილებლად თვლის გაზეთმა „საბჭოთა მასწავლებელმა" და ჟურნალმა „კომუნისტური აღზრდისათვის" გარდაქმნან მუშაობა იმ მიმართულებით, რომ მიაწოდონ მასწავლებლებს საუკეთესო მასწავლებლის გაკვეთილის, კლასის საუკეთესო ხელმძღვანელების საუკეთესო ნიმუშები და ფართოდ გააცნონ მასწავლებლობას მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილება სასწ. აღმზრდელობის საქმეში.

13. სკოლებში კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობის საქმის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის თათბირს საჭიროდ მიაჩნია, განათლების კომისარიატმა, საქ. ალკკ ცეკასთან შეთანხმებით, უახლოეს ხანში დაამუშაოს და დაიყვანოს სკოლებამდე სათანადო ინსტრუქცია მოსწავლეთა ორგანიზაციებისა და მშობელთა შორის მუშაობის შესახებ. მისცეს მითითებები სასკოლო ბიბლიოთეკებით სარგებლობის წესებისა, კლასგარეშე და სკოლისგარეშე კითხვის სწორად დაყენებისა და მოსწავლეთა გართობა-დასვენების საქმის მართებულად ორგანიზების შესახებ.

14. სკოლის დირექტორებმა და განათლების განყოფილებათა გამგეებმა რადიკალურად გარდაქმნან თავიანთი მუშაობა კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობის ღონისძიებათა გატარებისადმი ხელმძღვანელობისა და დახმარების დარგში.

14. აღნიშნავს, რა რიგ რაიონებში სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა სკოლებში ჩაბმისა და სკოლებიდან მოსწავლეთა განთესვის საქმეში არსებულ არანორმალურ

დგომარეობას, თათბირი აუცილებლად ფვლის განათლების განყოფილებებმა და სკოლის დირექტორებმა (გამგეებმა), დაუყოვნებლივ ჩაატარონ, როგორც სკოლაში ჩაუბმელ ბავშვთა და მოზარდთა ისე, სკოლებიდან განთესილთა ზუსტი აღრიცხვა და მიიღონ გადამჭრელი ზომები მათი ასი პროცენტით ჩაბმისათვის სათანადო სკოლებში.

15. „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის სახელმძღვანელოს" გამოსვლასთან დაკავშირებით საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის გარდაქმნის შესახებ", — ს. კ. პ. (ბ) ცეკას ა-წ. 14 ნოემბრის ისტორიული დადგენილებიდან გამომდინარე — თათბირი აყენებს საკითხს დაწყ. და საშ. სკოლების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და მათი ძირა რგოლების წინაშე — მასწავლებელთა შორის მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლების საქმის დაყენების რადიკალურად გასაუმჯობესებლად უახლოეს ხანში სათანადო ღონისძიებათა გატარების შესახებ. ამასთან დაკავშირებით, თათბირს აუცილებლად მიაჩნია მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და მათზე მეთოდური დახმარების გაწევის საქმის რადიკალურად გარდაქმნა და ახლებურად დაყენება.

16. სკოლის მეურნეობის მოწესრიგებისა და სასკოლო დოკუმენტების სათანადოდ წარმოების საქმის თავის სიმაღლეზე დაყენებისათვის თათბირი საჭიროდ თვლის, განათლების სახალხო კომისარიატმა ა-წ. 25 დეკემბრამდე დაამუშაოს და ადგილებამდე დაიყვანოს კონკრეტული მითითებანი, როგორც მოსწავლეთა მოწმობა-ატესტატების გაცემისა, ისე სხვა სასკოლო დოკუმენტების წარმოების შესახებ. განათლების განყოფილებებმა და სკოლის დირექტორებმა კონკრეტულად უხელმძღვანელონ და მოკიდონ ხელი სკოლის მეურნეობის მოწესრიგების საქმეს.

17. განათლების ორგანოებმა გადაჭრით ბოლო მოუღონ უდისციპლინობისა და უპასუხისმგებლობის ჯერ კიდევ არსებულ შემთხვევებს, რის შედეგადაც მთელი რიგი ღონისძიებებისა და სამუშაოებისა ჭიანურდება და აფერხებს, როგორც სკოლის, ისე განათლების განყოფილებათა და განათლების სახ. კომისარიატის მუშაობას (კვარტალური სამუშაო გეგმების წარმოდგენა, კვარტალის გეგმის შესრულების ანგარიში, სასწავლო წლისათვის მზადების გეგმები, მზადების მიმდინარეობის ანგარიშები, მეოთხედის შედეგების ანგარიშები, ატესტატების გაცემის ანგარიში, პასუხი მიმართვებზე, სტატ-ცნობები, ცალკე დავალებათა შესრულება და სხვა).

18. განსახკომმა და დაწყ. და საშ. სკოლების მუშაკთა კავშირის ცენტრ. კომიტეტმა გააუმჯობესოს ხელმძღვანელობა და დახმარება მასწავლებელთა შორის სოც-შეჯიბრების გაშლის საქმეში. გამოავლინონ განათლების განყოფილებათა საუკეთესო გამგეები, სკოლების დირექტორები და მასწავლებლები მათი გამოცდილების რესპუბლიკის დანარჩენ რაიონებზე და სკოლებზე განზოგადოებით.

## მომავალ სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ

19. მომავალი (1939-40) სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ განსახკომმა დაამუშაოს სათანადო ინსტრუქცია და დაიყვანოს იგი ავტონომიურ რესპუბლიკების და ოლქის განსახკომებსა და ყველა რაიგანათლების და ქალაქის განათლების განყოფილებებამდე 1939 წლის 1 აპრილამდე.

20. მოცემული ინსტრუქციის მიხედვით 15 აპრილამდე შედგენილ იქნეს მზადების გეგმა თითოეული სკოლისა და რაიონის მიხედვით.

გეგმების შედგენისათვის შესწავლილ და გათვალისწინებულ იქნეს თითოეული სკოლის აუცილებელი მოთხოვნილებები და ყველა შესაძლებლობანი. თითოეული სკოლის მზადების გეგმა განხილულ და დამტკიცებულ იქნას სასოფლო საბჭოების პლენუმის მიერ. ხოლო რაიონის გეგმები — რაიაღმასკომის და რაისაბჭოების პლენუმის მიერ.

განათლების განყოფილებებმა რაიაღმასკომებისა და რაისაბჭოების მიერ განხილული

და დამტკიცებული გეგმები წარმოადგინონ განსახკომში არა უგვიანეს 1-ლ მაისისა.

21. განსახკომმა რაიონებიდან მიღებული გეგმების გათვალისწინებით არა უგვიანეს 20 მაისისა შეადგინოს სასწავლო წლისათვის მზადების რესპუბლიკური გეგმა და უზრუნველყოს რაიონებზე ოპერატიული ხელმძღვანელობა და სასკოლო შენობებისა და ინვენტარის რემონტის მიმდინარე ტექნიკური ზედამხედველობა.

22. განსახკომმა ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საკითხებზე მაისის თვეში ჩაატაროს რაიგანათლების განყოფილებათა გამგეების სპეციალური თათბირი და დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი ახალი სასწავლო წლისათვის მზადების გეგმების მაღალხარისხოვანად შესრულებისათვის.

23. განათლების განყოფილებებმა 1939 წლის დასაწყისშივე გააფორმონ ხელშეკრულებები სახელგამთან კაბინეტებით, ლაბორატორიებით და სხვა სასწავლო ნივთებით სკოლების მომარაგების შესახებ. ხელშეკრულების დადების დროს გათვალისწინებულ იქნეს ამ საჭიროებისათვის ბიუჯეტით მოცემული თანხების მიღება წლის პირველი კვარტალიდანვე თანდათანობით, რათა უზრუნველყოფილ იქნას სკოლების მიერ ამ თანხების წესიერი ათვისება და სკოლების მომარაგება კაბინეტებით და ლაბორატორიებით.

სახელგამმა უზრუნველყოს დროულად შეკვეთა კაბინეტების, ლაბორატორიების და სხვა ხელსაწყოებისა და რაიონებისა და სკოლებისათვის მათი დროულად გადაგზავნა.

24. განათლების განყოფილებებმა ამგვარადვე გააფორმონ ხელშეკრულება ბიბლკოლექტორთან—სასკოლო ბიბლიოთეკებით სკოლების მომარაგების შესახებ.

25. განსახკომმა და სახელგამმა უზრუნველჰყონ სახელმძღვანელოების, პროგრამების და სასწავლო გეგმების გამოცემა, რვეულების და სხვა სასწავლო ნივთების დამზადება, შემოსაზიდი სახელმძღვანელოების, პროგრამების და სხვათა შემოზიდვა და სათანადო ორგანოების მეშვეობით ადგილებზე დაგზავნა; იმ ანგარიშით, რომ 25 აგვისტოს ყველა სკოლას შეეძლოს ადგილზე მათი მიღება.

26. სკოლების რვეულებით, სახელმძღვანელოებით და სხვა სასწავლო ნივთებით ნორმალურად მომარაგებისათვის გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

ა) განათლების განყოფილებებმა 1939 წლისათვის მოსწავლეთა რვეულების მისაღებად შეადგინონ ზუსტი მოთხოვნილებანი ცალკე სახელგამსა და ცალკე მ/კ კოოპერაციის ხაზით სკოლების, კლასების, ბავშვთა რაოდენობის და სწავლების ენების აღნიშვნით და წარმოადგინონ განსახკომში არა უგვიანეს 1939 წ. 10/I-ისა.

ბ) განსახკომმა რაიონებიდან მიღებული ცნობების საფუძველზე შეადგინოს რესპუბლიკის სკოლების მომარაგების გეგმა და სახელგამსა და ცეკავშირს დროულად წარუდგინოს სათანადო განაცხადები.

გ) განსახკომმა და ადგილობრივმა განყოფილებებმა, სისტემატურად შეამოწმონ და თვალყური ადევნონ სახელგამისა და ცეკავშირის მიერ დავალებათა შესრულებას და მიიღონ გადამჭრელი ზომები აღმოჩენილ დეფექტების სასწრაფოდ ლიკვიდაციისათვის.

27. განათლების განყოფილებამ ახალი სასწავლო წლისათვის მზადების რესპუბლიკური გეგმით, მისთვის გათვალისწინებულ ვადაში წარმოადგინოს განსახკომში რაიონის სკოლების პედკადრების განაწილების პროექტი; მოხსენებითი ბარათი და ახლად დასანიშნავი მასწავლებლის საბუთები და პირადი ბარათი.

აღკვეთილ იქნეს რაიონის და სკოლების შტატის დამტკიცების შემდეგ მათში ცვლილებების შეტანა. ყოველ ცალკე შემთხვევაში განათლების განყოფილების გამგემ წარმოადგინოს მოხსენებითი ბარათი ცვლილების აუცილებლობის შესახებ.

28. მომავალი წლის 1/I-მდე ყველა განყოფილებაში საბოლოოდ დამთავრდეს მასწავლებელთა პირადი საქმეების გაფორმება და უზრუნველყოფილი იქნეს ამ საბუთების არსებულ მითითებათა საფუძველზე შენახვა.

29. თათბირი საჭიროდ სთვლის ამ ღონისძიებათა დაბეჭდვას და განათლების განყოფილებათა და სკოლამდე დაყვანას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დებულება

## სკოლაში მეთოდური მუშაობის შესახებ

### I. სკოლაში მეთოდური მუშაობის ამოცანები.

1. სკოლა წარმოადგენს ძირითად რგოლს მასწავლებელთან მეთოდური მუშაობის სისტემაში.

მეთოდური მუშაობა სკოლაში ხორციელდება სკოლის შესახებ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებათა მიხედვით და მიზნად ისახავს: ხელის შეწყობას სკოლის მთელი სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის ხარისხის ასამაღლებლად, მასწავლებლის აქტიურობისა და შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებას, მისი პედაგოგიური ოსტატობის სრულყოფას.

2. მეთოდური მუშაობის ამოცანაა: უზრუნველყოს გაკვეთილის, როგორც სკოლაში სასწავლო მუშაობის ორგანიზაციის ძირითადი ფორმის, გაუმჯობესების ღონისძიებათა გატარება, საუკეთესო მასწავლებელთა და კლასის ხელმძღვანელთა გამოცდილების შესწავლა და მისი გავრცელება მასწავლებლობაში, აგრეთვე მეთოდური და პედაგოგიური ლიტერატურის შესწავლა.

### II. სკოლაში მეთოდური მუშაობის ორგანიზაციის ფორმები და შინაარსი.

3. სკოლაში წესდება მეთოდური მუშაობის შემდეგი ორგანიზაციული ფორმები:

ა) მცირე კომპლექტიან დაწყებით სკოლაში პედაგოგიური თათბირი.

ბ) საშუალო სკოლაში საგნობრივი მეთოდური კომისიები.

გ) დაწყებით, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლის I—IV კლასების მასწავლებელთათვის საკლასო მეთოდური კომისიები.

4. საგნობრივი მეთოდური კომისიები იქმნება საშუალო და არასრული საშუალო სკოლებში, თუ ამ სკოლებში ცალკე საგნის სამი ან მეტი მასწავლებელია.

საკლასო მეთოდური კომისიები იქმნება I, II, III, IV კლ. მასწავლებელთათვის, თუ სკოლაში ცალკეული კლასების მიხედვით არის მასწავლებლები არა ნაკლები სამისა.

შენიშვნა: სკოლებში, სადაც მოცემული საგნის 1-2 მასწავლებელია, საგნობრივი კომისიები არ იქმნება. სკოლის დირექტორი და მისი თანაშემწე სასწავლო ნაწილში პერიოდულად უყრიან თავს ამ მასწავლებლებს, რომ მათთან განიხილონ სხვადასხვა მეთოდური საკითხები.

5. საგნობრივი და სასკოლო კომისიების მუშაობის შინაარსში შედის:

ა) პროგრამების შესწავლა;

ბ) გაკვეთილის დაგეგმვა-დამუშავება;

გ) აღმზრდელობითი მუშაობა გაკვეთილზე;

დ) თვალსაჩინო ხელსაწყოების შესწავლა და მათი გამოყენება გაკვეთილზე;

ე) მეთოდური ხერხები გამეორებისა და მოსწავლეთა მიერ ცოდნის შეთვისებისათვის;

ვ) საშინაო დავალებათა მეთოდიკა;

ზ) მოსწავლეთა ცოდნის აღრიცხვა;

თ) მოსწავლეთა შორის დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევათა გამომუშავება.

ი) მოსწავლეთა შესწავლის საკითხები;

კ) ბავშვებთან კლასგარეშე მუშაობის ჩატარების მეთოდიკა;

ლ) განხილვა და დამუშავება ღონისძიებებისა, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეთა წარმატების ზრდას.

მ) მეთოდური, პედაგოგიური და სპეციალური ლიტერატურის შესწავლა;

ნ) გამოცდილების გაზიარება და საუკეთესო მასწავლებლების მუშაობის განზოგადოება.

6. საქართველოს განათლების კომისრისა და ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისრების ნებართვით შეიძლება დიდ სკოლებში შეიქმნას პედაგოგიური კაბინეტები. სკოლის პედაგოგიური კაბინეტის მუშაობის ძირითადი ამოცანებია:

ა) სკოლის მუშაობის საუკეთესო გამოცდილების შეკრება-დამუშავება და მისი დაყვანა მასწავლებლებამდე;

ბ) მასწავლებელზე დახმარება სასწავლო მოწყობილობისა და ლიტერატურის შერჩევაში;

ბიბლიოთეკა

გ) სკოლის სასწავლო-მეთოდური მუშაობის გამოფენის ორგანიზაცია;

დ) მეთოდური მუშაობის შედეგების გაფორმება (ოქმები, მოხსენებები, რეფერატები და სხვა) და მათი დაყვანა მასწავლებლებამდე.

პედაგოგიურ კაბინეტს ხელმძღვანელობს დირექტორის თანაშემწე სასწავლო ნაწილში.

## III. სკოლაში მეთოდური მუშაობის ხელმძღვანელობა.

7. მეთოდური მუშაობის ხელმძღვანელობას ანხორციელებს სკოლის დირექტორი (გამგე) და დირექტორის თანაშემწე სასწავლო ნაწილში.

8. სკოლის დირექტორი (გამგე) მეთოდურ ხელმძღვანელობის განხორციელებისათვის აწარმოებს გაკვეთილებზე დასწრებას, თვითეული მასწავლებლის გაკვეთილის გეგმის ანალიზს, ატარებს საუბრებს მასწავლებლებთან გაკვეთილის ორგანიზაციის შესახებ და ადგენს გასარჩევად ცალკეული გაკვეთილების მოსმენის შედეგს პედსაბჭოებზე, საგნობრივ და საკლასო მეთოდურ კომისიების სხდომებზე.

9. ზემოთ ჩამოთვლილ მუშაობასთან ერთად, სკოლის დირექტორი (გამგე):

ა) აწყობს გამოცდილების გაზიარებასა და სკოლის საუკეთესო მასწავლებელთა მუშაობის პრაქტიკის ჩვენებას.

ბ) აწყობს ინდივიდუალური დახმარების გაწევას დამწყებ მასწავლებელთათვის.

გ) ხელს უწყობს მასწავლებელთა შემოქმედებითი მეთოდური მუშაობის აქტივიზაციას;

დ) თავისი სკოლის მასწავლებლებს ამზადებს საუბნო ჯგუფურ-მეთოდურ თათბირებზე გამოსასვლელად მოხსენებებითა და ცნობებით მათი გამოცდილების შესახებ;

ე) ხელს უწყობს თავისი სკოლის მასწავლებლების მუშაობის გამოცდილების გაშუქებას პრესაში;

ვ) განაზოგადებს თავისი სკოლის მასწავლებელთა სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის საუკეთესო გამოცდილებას და აწყობს მის ჩვენებას გამოფენების, სარაიონო პედაგოგიური კაბინეტისა და მასწავლებელთა პედაგოგიური დახელოვნების ინსტიტუტის საშუალებით;

ზ) ფართოდ აშუქებს თავისი სკოლის იმ საუკეთესო მასწავლებელთა მუშაობას, რომლებმაც მიაღწიეს მაღალ მაჩვენებლებს სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობაში.

10. სკოლებში, სადაც ყალიბდება V-X კლასების მასწავლებელთა საგნობრივი და I-IV კლასების მასწავლებელთა საკლასო მეთოდური კომისიები, სკოლის დირექტორი (გამგე) საგნობრივ და საკლასო მეთოდური კომისიების ხელმძღვანელებად აყენებს გამოცდილ მასწავლებლებს.

11. საგნობრივი და საკლასო მეთოდური კომისიების ხელმძღვანელები სკოლის დირექტორის (გამგის) წინაშე პასუხისმგებელი არიან მეთოდური მუშაობის შინაარსისა და ორგანიზაციისათვის და ასრულებენ შემდეგ სამუშაოს:

ა) ადგენენ მუშაობის გეგმას, რომელსაც უდგენენ მასწავლებლებს განსახილველად;

ბ) ხელმძღვანელობენ საკითხების განხილვას;

გ) აღრიცხავენ საგნობრივი და საკლასო მეთოდურ კომისიების მუშაობას და სკოლის

დირექტორს (გამგეს) უდგენენ თავისი მუშაობის ანგარიშს;

დ) აწყობენ მასწავლებელთა გამოსვლებს მუშაობის გამოცდილების გაზიარების მიზნით;

ე) აშუქებენ პრესაში საგნობრივი და მასწავლებელთა საკლასო მეთოდური კომისიების მუშაობის გამოცდილებას.

12. დაგეგმვა მეთოდური მუშაობისა სკოლაში ხდება საგნობრივი და საკლასო მეთოდური კომისიების მიერ თვით მასწავლებელთა აქტიური მონაწილეობითა და სკოლის დირექტორის (გამგის) საერთო ხელმძღვანელობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

---

# დებულება

## მასწავლებელთა საუბნო-ჯგუფური, საქალაქო და რაიონული მეთოდური თათბირების შესახებ

### I. საუბნო-ჯგუფური, საქალაქო და რაიონული მეთოდური თათბირების ამოცანები.

1. ერთმანეთისაგან ტერიტორიალურად ახლოს მყოფ რამდენიმე სკოლის მასწავლებელთა საუბნო-ჯგუფური მეთოდური თათბირი წარმოადგენს მასწავლებელთა კოლექტიური მუშაობის მუდმივ ფორმას.

მასწავლებელთა საუბნო მეთოდური თათბირი მიზნად ისახავს:

ა) მასწავლებელთა შორის სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის საუკეთესო ნიმუშების გაზიარების ორგანიზაციას;

ბ) დამწყებ, გამოუცდელ მასწავლებელთათვის მეთოდური დახმარების გაწევას;

გ) მასწავლებელთათვის ხელის შეწყობას ზოგად პედაგოგიურ და პოლიტიკური ცოდნის დონის ამაღლებაში.

### II. მეთოდური მუშაობის ფორმები.

2. საუბნო-ჯგუფური, საქალაქო და რაიონული მეთოდური თათბირების მუშაობა ხორციელდება:

ა) მასწავლებელთა მიერ მუშაობის ურთიერთ გაცნობით, გაკვეთილებზე დასწრებით და გაკვეთილების ჩატარებით, გამოფენებისა და ექსკურსიების მოწყობით.

ბ) იმ სკოლებისა და ცალკეულ მასწავლებლების მოხსენებათა ჩატარებით, რომლებსაც საუკეთესო მიღწევები აქვთ თავის მუშაობაში.

გ) საუბნო-ჯგუფურ და რაიონულ მეთოდურ თათბირებში გაერთიანებულ პირთათვის ლექციების, სემინარების, საუბრების და სხვათა მოწყობის საშუალებით.

### III. მეთოდური მუშაობის შინაარსი და ორგანიზაცია.

3. საუბნო-ჯგუფური, საქალაქო და რაიონული მეთოდური თათბირის მუშაობის შინაარსში შედის მოხსენებებისა და რეფერატების ჩატარება:

ა) მიმდინარე პოლიტიკისა და საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე;

ბ) პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის საკითხებზე;

გ) პროგრამებისა და სახელმძღვანელოების განხილვა;

დ) მეორეწლიანობასთან ბრძოლის ღონისძიებათა განხილვა და დამუშავება;

ე) ცალკეული გაკვეთილების საუკეთესო გეგმების განხილვა და გაკვეთილების გარჩევა;

ვ) ორ კლასთან მუშაობის ორგანიზაციისა და მეთოდური ღონისძიებების დამუშავება;

ზ) ღონისძიებათა განხილვა და დამუშავება მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

თ) საუკეთესო დირექტორების, სკოლების გამგეთა, მასწავლებლისა და ინსპექტორების მოხსენებათა განხილვა ცალკეულ პედაგოგიურ საკითხებზე და კერძო მეთოდიკის საკითხებზე:

ი) გაცნობა საუკეთესო მასწავლებელთა მუშაობის გამოცდილების და ლონისძიებათა დამუშავება მისი მასწავლებელთა შორის გავრცელებისათვის.

4. საუბნო-ჯგუფურ მეთოდურ თათბირებში, ერთიანდებიან:

ა) ტერიტორიალურად ერთმანეთთან ახლოს მყოფი (საუბნო ჯგუფური თათბირების ცენტრიდან—ადგილობრივი პირობების მიხედვით 3-10 კილომეტრამდე რადიუსში არსებული) დაწყებითი სკოლებისა და არასრული საშუალო და საშუალო სკოლების პირველი ოთხი კლასის მასწავლებლები, კლასების მიხედვით და

ბ) არასრული საშუალო სკოლების მასწავლებლები ძირითადი სასწავლო დისციპლინების მიხედვით, იმ შემთხვევაში, როცა არასრული საშუალო სკოლების რიცხვი მოცემულ უბანში საამისოდ საკმარისია.

**შენიშვნა:** თუ რაიონში არასრული საშუალო სკოლები ტერიტორიალურად იმდენად არის დანაწილებული, რომ დაწყებითი კლასებისათვის გამოყოფილ[illegible] არ ეფარდება, შესაძლოა V-VII კლასების მასწავლებლებისათვის სხვა ტერიტორიალური უბნები გამოიყოს.

5. ქალაქებში შეიქმნება საქალაქო თათბირები ცალკე კლასებისა და სასწავლო დისციპლინების მიხედვით.

**შენიშვნა:** თბილისში თათბირები მოეწყობა ცალკე რაიონების მიხედვით I-IV კლასისა და არასრული საშუალო სკოლების ძირითადი დისციპლინების მასწავლებელთათვის.

6. რაიონებში თათბირები იქმნება საშუალო სკოლის უფროსი კლასების (VIII, IX, X) ძირითად დისციპლინების მასწავლებელთათვის.

7. საუბნო-ჯგუფური, საქალაქო და რაიონული მეთოდური თათბირი მოეწყობა რაიონის საუკეთესო სკოლებში, რომლებიც ტერიტორიალურად იმყოფებიან ცენტრში.

მასწავლებელთა საუბნო-ჯგუფური, საქალაქო და რაიონული მეთოდური თათბირი იკრიბება თვეში ერთხელ.

## IV. საუბნო-ჯგუფური მეთოდური თათბირების ხელმძღვანელობა.

8. საუბნო ჯგუფური, საქალაქო და რაიონული მეთოდური თათბირების ხელმძღვანელები ინიშნებიან რაიონების (ქალაქის) განათლების განყოფილების გამგის მიერ. მათ შემდეგ სამუშაოთა შესრულება ევალებათ:

ა) თათბირის სამუშაო გეგმის შედგენა;

ბ) მასწავლებელთა მომზადება თათბირის მორიგი შეკრებისათვის;

გ) მასწავლებელთა შორის ერთმანეთის გამოცდილებით სარგებლობის ორგანიზაცია;

დ) ინდივიდუალური დახმარების ორგანიზაცია დამწყები მასწავლებლებისათვის;

ე) საკითხების განხილვა-ხელმძღვანელობა თათბირზე;

ვ) თათბირის მუშაობის აღრიცხვის ჩატარება და ანგარიშის წარდგენა რაიგანათლების განყოფილებასა და პედაგოგიურ კაბინეტში;

ზ) სარაიონო პედაგოგიურ კაბინეტთან და სხვა საუბნო ჯგუფურ-საქალაქო და სარაიონო თათბირებთან კავშირის დამყარება, მუშაობის გამოცდილების გადატანის მიზნით.

10) საუბნო-ჯგუფურ, საქალაქო და სარაიონო მეთოდურ თათბირების ხელმძღვანელებს რაიონის განათლების განყოფილება, პირველ რიგში, ამარაგებს მეთოდური მასალით, პედაგოგიური ლიტერატურითა და გაზეთებით; მიავლენს მათ კვალიფიკაციის ასამაღლებლად რესპუბლიკურ ცენტრში.

11. მასწავლებელთა საუბნო-ჯგუფურ, რაიონულ და საქალაქო მეთოდურ თათბირებს აყალიბებს რაიგანათლების განყოფილება.

.12. ჯგუფური მეთოდური თათბირის სამუშაო გეგმა დგება მთელი წლის და სასწავლო მეოთხედების მიხედვით, მათ ამტკიცებს რაიონის განათლების განყოფილების გამგე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## რაიონის განათლების განყოფილების სარაიონო პედაგოგიური კაბინეტისა.

### I. სარაიონო პედაგოგიური კაბინეტის ამოცანები:

1. სარაიონო პედაგოგიური კაბინეტი წარმოადგენს პედაგოგიურ დაწესებულებას, რომელიც მუშაობს რაიონის განათლების განყოფილების გამგის უშუალო ხელმძღვანელობით და ეხმარება განათლების განყოფილებას რაიონის სკოლების მასწავლებელთა შორის მეთოდური ხელმძღვანელობის განხორციელებაში.

2. პედაგოგიური კაბინეტის ამოცანებში შედის:

ა) საუკეთესო პედაგოგიური გამოცდილების შესწავლა და გავრცელება რაიონის სკოლების სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის ხარისხის ასამაღლებლად.

ბ) დახმარების გაწევა მასწავლებელთა საუბნო-ჯგუფური და სარაიონო მეთოდური თათბირებისათვის.

გ) სისტემატური მუშაობის ჩატარება მასწავლებლობის პედაგოგიურ და იდეურ-პოლიტიკური დონის ასამაღლებლად.

3) სარაიონო პედაგოგიური კაბინეტი ხელს უწყობს თითოეული მასწავლებლის შემოქმედებით ინიციატივას, აწყობს მასწავლებელთა შორის სოციალისტური შეჯიბრების საქმეს და აგვარებს საუბნო-ჯგუფურ და რაიონული თათბირების ხელმძღვანელთათვის სემინარებისა და წრეების მოწყობის საქმეს.

4. სარაიონო პედაგოგიური კაბინეტი წარმოადგენს რაიონის განათლების განყ-ბის სასკოლო ინსპექტორების მეთოდური მუშაობის ძირითად ბაზას.

5. მთელ თავის მუშაობაში სარაიონო პედაგოგიური კაბინეტი ემყარება საუკეთესო მასწავლებელთა აქტივს და აწარმოებს მუშაობას მასწავლებელთა ფართო მასების აქტივიზაციისათვის.

### II. მუშაობის შინაარსი და ფორმები.

6. აღნიშნული ამოცანების განსახორციელებლად სარაიონო პედაგოგიური კაბინეტი მონაწილეობს რაიონის მეთოდურ მუშაობის გეგმების შედგენაში.

7. საუკეთესო სკოლებისა და ცალკეულ მასწავლებელთა მუშაობის განზოგადოებისათვის შეისწავლის და გამოავლენს საუკეთესო პედაგოგთა გამოცდილებას. საუკეთესო მასწავლებელთა მუშაობის შესწავლის ამოცანას, კაბინეტი ახორციელებს:

ა) სკოლაში გაკვეთილებზე მეთოდისტთა დასწრებით;

ბ) პედაგოგიური თათბირების ხელმძღვანელების და პედაგოგიური სასწავლებლების საუკეთესო მასწავლებელთა შემოკრებით;

გ) სკოლაში ინსპექტორების დასწრების საანგარიშო მასალების შესწავლა-გამოყენებით.

8) საუკეთესო პედაგოგიური გამოცდილების განზოგადოებას რაიონის სკოლებში ახორციელებს:

ა) გამოცდილი მასწავლებლების გაკვეთილებზე დასწრების საშუალებით.

ბ) მასწავლებელთა თათბირებზე ისეთი მოხსენებების გაშუქებით, რომლებიც საუკეთესო პედაგოგიურ გამოცდილებას აზოგადოებენ;

გ) საუბნო-ჯგუფურ მეთოდურ თათბირებს და ცალკეულ სკოლებს უგზავნის მასალებს, რომლებსაც თან დაურთავს საუკეთესო მასწავლებელთა გამოცდილების აღწერას თავისი შენიშვნებითა და მითითებებით;

დ) კაბინეტის მუდმივ პედაგოგიურ გამოფენაზე აფორმებს მასალებს, რომლებიც გვიჩვენებენ სკოლისა და მასწავლებლის საუკეთესო პედაგოგიურ გამოცდილებას;

ე) აწყობს თემატურ მოძრავ გამოფენებს.

9. კონკრეტულ დახმარებას უწევს მუშაობაში საუბნო-ჯგუფურ და რაიონულ მეთოდურ თათბირებს, რისთვისაც:

ა) აწყობს საუბნო-ჯგუფურ და რაიონულ საგნობრივ თათბირების მონაწილეთა გამოცდილების ურთიერთ გაზიარებას.

ბ) აწყობს კონსულტაციებს მუშაობის ძირითადი რგოლების (სკოლის საგნობრივი კომისიები, მეთოდური თათბირები) ხელმძღვანელთათვის;

გ) საუბნო-ჯგუფური თათბირების და სკოლის საგნობრივი კომისიების მოთხოვნილების მიხედვით შეარჩევს ლიტერატურასა და საუკეთესო გამოცდილების ნიმუშებს. გამოჰყოფს ლექტორებს მასწავლებლებისა და სხვა დაწესებულებათა საუკეთესო მუშაკების რიცხვიდან, სხვადასხვა მეთოდურ-პედაგოგიურ საკითხებზე, ლექციების, საუბრების, მოხსენების ჩასატარებლად;

დ) განსახილველად წამოაყენებს საკითხებს სკოლების ცალკეულ ნაკლისა და მასწავლებლების მორიგ მოთხოვნილებების მიხედვით;

ე) ეხმარება საუბნო-ჯგუფურ და რაიონულ, საქალაქო თათბირებს სამუშაო გეგმის შედგენაში;

ვ) რაიონის განათლების განყ-ბის გამგის დავალებით ატარებს საუბნო-ჯგუფური და რაიონულ, საქალაქო მეთოდურ თათბირების და სკოლის საგნობრივ კომისიების ხელმძღვანელთა თათბირებს;

ზ) აწყობს აგრეთვე სემინარებს პოლიტიკურ, საერთო პედაგოგიურ და მეთოდური საკითხების შესასწავლად სკოლების საგნობრივი კომისიების, საუბნო-ჯგუფური, საქალაქო და რაიონული მეთოდური თათბირების ხელმძღვანელებისათვის.

10. ატარებს ღონისძიებებს სკოლების გამგეთა, დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად; აწყობს მათ შორის გამოცდილების გაზიარებას სემინარების, ინდივიდუალურ კონსულტაციების, ერთმანეთთან სკოლებში [illegible]სა და სხვა საშუალებების გამოყენებით.

11. კაბინეტი გეგმიანად ატარებს ინდივიდუალურ და ჯგუფობრივ კონსულტაციებს მასწავლებელთა, კლასის ხელმძღვანელთა და პიონერ-ხელმძღვანელთათვის, ამავე დროს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს აღმოუჩინოს დახმარება ორ კლასთან მომუშავე და ახლად დამწყებ მასწავლებლებს.

12. მასწავლებელთათვის აწყობს ლექციებს, სემინარებსა და წრეებს პოლიტიკური განათლების, პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის, დიდაქტიკისა და კერძო მეთოდიკის საკითხებზე.

13. პრესაში გამოსაქვეყნებლად აფორმებს საუკეთესო სკოლების, ცალკეულ მასწავლებელთა და საუბნო-ჯგუფურ და რაიონულ თათბირების პედაგოგიურ გამოცდილებას.

14. ხელს უწყობს მუშაობაში ქალაქის მასწავლებლებს დაეხმარონ სოფლად მომუშავე მასწავლებლებს.

15. მომსახურეობას უწევს (გამოფენები, მომხსენებლები) რაიგანათლების განყოფილების მიერ მოწვეულ სარაიონო თათბირებს.

16, მასწავლებლის დასახმარებლად აგროვებს, ინახავს და იყენებს ყველა მეთოდურ მასალას და აფორმებს მას თვალსაჩინოდ ჩვენებისათვის,

17. წაახალისებს ინიციატივას სასწავლო ნივთების დამზადებაში, აგროვებს მასწავლებელთა მიერ დამზადებულ სასწავლო თვალსაჩინო ხელსაწყოების ნიმუშებს, ადგენს თვალსაჩინო ხელსაწყოების სანიმუშო კოლექციებსა და სხვა მასალებს და აწყობს სასწავლო თვალსაჩინო ხელსაწყოების მოძრავ ფონდს.

18. ატარებს ღონისძიებებს პედაგოგიურ პროპაგანდისათვის მოსახლეობას შორის და ეხმარება სკოლებს ამ მუშაობაში (რადიო-ლექციები, წერილები რაიონულ პრესაში, მოხსენებები და კონსულტაციები მშობელთა თათბირებზე და სხვა).

19. სარაიონო პედაგოგიური კაბინეტი სისტემატურად ადევნებს თვალყურს — თუ რამდენად მოახდინა გავლენა მისმა მუშაობამ, კერძოდ გამოუცდელი მასწავლებლების მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

20. მეთოდური მუშაობის შინაარსისა და ორგანიზაციის დარგში სარაიონო პედაგოგიური კაბინეტი დახმარებას ღებულობს მასწავლებელთა დახელოვნების რესპუბლიკური ინსტიტუტისაგან.

21. სარაიონო პედაგოგიური კაბინეტი კავშირს ამყარებს ბავშვთა ტექნიკურ, საცდელო-სამეურნეო სადგურებთან, მუზეუმებსა და სხვა დაწესებულებებთან.

## III. კაბინეტის სტრუქტურა და მისი მოწყობილობა.

22. სარაიონო პედაგოგიური კაბინეტი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბინით, რომელიც საკმაოდ მოხერხებული იქნება არა მარტო მთელი მისი მასალების შესანახად და თანამშრომელთა სამუშაოდ, არამედ მასწავლებელთა სამუშაოდაც.

23. სარაიონო პედაგოგიურ კაბინეტთან არის ბიბლიოთეკა (საზოგადო პოლიტიკური, პედაგოგიური და მხატვრული განყოფილებებით) და წიგნების მოძრავი ფონდი.

24. სარაიონო პედაგოგიურ კაბინეტში არის თვალსაჩინო სასწავლო ხელსაწყოების კომპლექტები სკოლებში გამოსაყენებლად (საპროექციო ფანარი სურათებითა და დიაპოზიტივებით, რადიო, პატეფონი ფირფიტებით, მოხსენებები, საბავშვო სიმღერები, ლექსები და სხვა).

25. კაბინეტის პედაგოგიურ გამოფენაზე თვალსაჩინო გაფორმებული სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი:

ა) სახელმძღვანელო მასალები ბავშვთა სწავლებისა და აღზრდის საკითხებზე;

ბ) მასალები, რომლებიც გააშუქებენ საუკეთესო მასწავლებელთა მუშაობის გამოცდილებას კაბინეტის ანოტაციებით (აღწერა გამოცდილებისა სასწავლო-აღმზრდელობითი და მეთოდური მუშაობის ამათუიმ საკითხებზე, ცალკეული გაკვეთილების ჩანაწერები, მასწავლებელთა დღიურები, დაბეჭდილი ნამუშევრები, მოსწავლეთა ნამუშევრების ნიმუშები, სასწავლო ნივთები).

გ) ნორმალური სასკოლო მერხისა და სასკოლო მოწყობილობის და სხვა საგნების ნიმუშები.

26. სარაიონო პედაგოგიურ კაბინეტთან შეიძლება მოეწყოს თვალსაჩინო ხელსაწყოების დამამზადებელი სახელოსნო, რომელიც იარსებებს სამეურნეო ანგარიშზე.

**შენიშვნა:** ნებართვა ცალკე რაიონებისა და ქალაქებში ასეთი სახელოსნოს გახსნის შესახებ გაიცემა საქართველოს განსახკომის მიერ.

## IV. სარაიონო პედაგოგიური კაბინეტის შტატი და ხარჯთაღრიცხვა.

27. სარაიონო პედაგოგიური კაბინეტის სათავეში დგას კაბინეტის გამგე საუკეთესო მასწავლებელთა, დირექტორთა (გამგეთა) და სკოლების სასწავლო ნაწილის გამგეთა რიცხვიდან. მას ნიშნავს განსახკომი განათლების განყოფილების გამგეთა წარმოდგენით.

28. კაბინეტის მეთოდისტებსა და სხვა თანამშრომლებს ნიშნავს განათლების განყოფილება.

29. სარაიონო პედაგოგიური კაბინეტი მუშაობს რაიაღმასკომის მიერ დამტკიცებული ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით. სარაიონო პედაგოგიური კაბინეტის ბიუჯეტის დამტკიცებისას მხედველობაში მიიღება შემდეგი გასავალი: კაბინეტის თანამშრომელთა ხელფასი, სკოლებსა და საუბნო-ჯგუფურ თათბირების ადგილებამდე მიმოსვლა, კაბინეტის მოწყობილობა და მისი შევსება, სემინარების ჩატარება, მეთოდური მასალების გამრავლება სკოლებისათვის დასაგზავნად და სხვა.

30. სარაიონო პედაგოგიური კაბინეტი თავის მუშაობის ანგარიშს აბარებს რაიონის განათლების განყოფილების გამგეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# III. მასწავლებელთა ატესტაციის შედეგებზე

## ღონისძიება მიღებული თათბირის მიერ განათლების სახალხო კომისრის მოადგილის ამხ. ლ. გეგეშიძის მოხსენების გამო

მასწავლებელთა ატესტაციის შემდგომ უკეთ ჩატარების მიზნით სახალხო განათლების გან-ყოფილებათა გამგეების რესპუბლიკური თა-თბირი სახავს შემდეგ ღონისძიებებს.

1. თათბირს საჭიროდ მიაჩნია განსახკომის საატესტაციო ჯგუფმა ერთი დეკადის ვადაში დააზუსტოს და შეიტანოს ყველა საჭირო შეს-წორებანი I და II რიგის საატესტაციო კომი-სიის მასალებში და წარუდგინოს კომისარს დასამტკიცებლად.

2. თათბირი აღნიშნავს ერთგვარ ჩამორ-ჩენას საატესტაციო მასალების წესრიგში მო-ყვანის საქმეში და ამოცანად სახავს განსახ-კომის წინაშე, რათა მან ერთი დეკადის ვა-დაში წესრიგში მოიყვანოს განსახკომში არ-სებული ატესტაციის ყველა მასალები (საატე-სტაციო კომისიების ოქმების, ჟურნალების და განსახკომის ბრძანებების რაიონების მიხედვით დალაგება და „პაპკებში“ ჩაწყობა, საატესტა-ციო კომისიების დადგენილებებთან დაკავში-რებით მასწავლებელთა საჩივრების აღრიცხვა დალაგება და სხვა).

3. თათბირი საჭიროდ თვლის, განათლე-ბის განყოფილების გამგეებმა 15 დღის გან-მავლობაში დააზუსტონ და წარმოადგინონ განსახკომში იმ მასწავლებელთა სიები, რო-მელთაც შეუსრულდათ გამოსაცდელი პედსტა-ჟი და სხვადასხვა მიზეზების გამო არ გაუვ-ლიათ ატესტაცია.

4. თათბირს აუცილებლად მიაჩნია განა-თლების განყოფილებებმა დააზუსტონ და წარ-უდგინონ განსახკომს ერთი დეკადის ვადაში იმ მასწავლებელთა სიები, რომელნიც განსახ-კომის ბრძანებით პირობით დატოვებულ არი-ან მასწავლებლად, დავალებული აქვთ სხვადა-სხვა კურსზე და საგნებში გამოცდების ჩაბა-რება.

5. თათბირი აღნიშნავს დაუშვებელ ჩამორ-ჩენას დამსახურებულ მასწავლებლის სახელ-წოდებაზე წარსადგენ კანდიდატების შერჩე-ვისა და მათთვის საჭირო საბუთების შეგრო-ვების საქმეში, რისთვისაც საჭიროდ თვლის სახ. გან. განყოფილებებმა 15 დღის განმავ-ლობაში წარუდგინონ განსახკომს ასეთები შემდეგი საბუთებით: 1. შრომის სია, 2. პარტ-რაიკომის, რაიალმასკომის, სახ. გან. განყო-ფილების, კომკავშირის რაიკომის და პროფ-ორგანიზაციების დახასიათებანი, 3. სხვადა-სხვა დროს გაცემული დახასიათებანი, 4. შე-მოწმებული ანკეტა, 5. ავტობიოგრაფია, 6. სამი ფოტოსურათი, 7. შრომების (პედა-გოგიურ-მეთოდური ხასიათის სახელმძღვანე-ლო) სიები.

6. რაიონში მასწავლებელთა საატესტაციო კომისიების სასწრაფოდ ჩამოყალიბებისათვის სახ. გან. განყოფილებათა გამგეებმა ადგილო-ბრივ ხელმძღვანელ ორგანოებთან შეთანხმე-ბით შეადგინონ საატესტაციო კომისიების შე-მადგენლობის პროექტი და 5 დღის ვადაში წარუდგინონ განსახკომს დასამტკიცებლად. საატესტაციო კომისიებმა იმგვარად უნდა წარ-მართონ მუშაობა, რომ ატესტაციაში მასწავ-ლებელთა გატარება დაამთავრონ 1939 წ. იანვრამდე.

7. თათბირი აღნიშნავს მთელ რიგ სახ. განათ. განყოფილებებში მასწავლებელთა პი-რად საქმეების მოწესრიგების არადამაკმაყო-ფილებელ მდგომარეობას და საჭიროდ თვლის განათლების განყოფ. გამგეებმა დაუყოვნებლივ მოიყვანონ წესრიგში ატესტაციაში გასატარე-

პელ მასწავლებელთა პირადი საქმეები და ინსტრუქციის თანახმად გადასცენ საატესტაციო კომისიებს.

8. ატესტაციის დროს დაშვებულ შეცდომების და გაუგებრობათა თავიდან აცილების მიზნით, თათბირი საატესტაციო კომისიების წინაშე სახავს ამოცანას, რომ არ დაუშვან მასწავლებლებისადმი ფორმალური და არაგულისხმიერი დამოკიდებულება, რის შედეგად ზოგჯერ ღირსეული მასწავლებლები რჩებოდნენ მასწავლებელთა პერსონალურ წოდების გარეშე და ირიცხებოდნენ „დროებით დაშვებულთა“ სიაში. მასწავლებელი კომისიამ უნდა შეისწავლოს ინდივიდუალურად: თუ რამდენად ეუფლება იგი სწავლების ხერხებს და მეთოდებს, რამდენად მუშაობს თავის თავზე, რა წარმატებები აქვს სასკოლო მუშაობაში და როგორ იბრძოდა და იბრძვის მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის და მაღალი აკადემიური წარმატებებისათვის, და ამის მიხედვით იმსჯელოს ამათუიმ მასწავლებლისათვის პერსონალური წოდების მინიჭების შესახებ.

9. საატესტაციო კომისიების მუშაობის შედეგების მასწავლებლებამდე დაყვანის გაჭიანურების ლიკვიდაციის მიზნით, თათბირი საჭიროდ თვლის საატესტაციო კომისიების ოქმები წარმოდგენილ იქნას განსახკომში დადგენილების გამოტანიდან 3 დღის შემდეგ, დროზე განსახილველად და გასაფორმებლად.

10. თათბირს საჭიროდ მიაჩნია განუმარტოს სახ. განათლების განყოფილებათა გამგეებს, რომ ის მასწავლებლები, რომლებმაც განსახკომის ბრძანებით დაკისრებული დავალება სხვადასხვა კურსზე და საგნებში გამოცდების ჩაბარების შესახებ შეასრულეს, მეორეჯერ ატესტაციაში არ ტარდებიან. ასეთი მასწავლებლები ადგენენ განათლების განყოფილებაში გამოცდების ჩაბარების სათანადო მოწმობას, რის საფუძველზე განათლების განყოფილების გამგე შუამდგომლობს განსახკომის წინაშე მათთვის ატესტატის მიცემის შესახებ.

11. თათბირი სრულიად არა დამაკმაყოფილებლად თვლის განათ. განყოფილებების მიერ ჩატარებულ მუშაობას იმ მასწავლებლებისადმი დახმარების გაწევის საქმეს, რომლებსაც დავალებული აქვთ გამოცდების ჩაბარება სხვადასხვა კურსზე და საგნებში. ამ მდგომარეობის გადაჭრით გაუმჯობესების მიზნით განათლების განყოფილებათა გამგეებმა მთელი პასუხისმგებლობით მოჰკიდონ ხელი ასეთ მასწავლებელთათვის ყოველმხრივ დახმარების გაწევის საქმეს, რათა მათ შესძლონ განსახკომის ბრძანების თანახმად გამოცდების დროზე და ხარისხობრივად ჩაბარება. ამ მიზნით თათბირი საჭიროდ თვლის განათ. განყოფილებათა გამგეებმა უზრუნველყონ:

ა) პედმინიმუმის კურსებზე ამ მასწავლებელთა მთლიანად ჩაბმა,

ბ) მათი თათბირების მოწვევა და გამოცდებისათვის მზადებასთან დაკავშირებული საკითხების გარკვევა,

გ) საშუალო სკოლების და პედსასწავლებლების კაბინეტების (ფიზიკის, ქიმიის, გეოგრაფიის და სხვა) გამოყენება ამ მიზნით,

დ) ცალკე საგნებში საუკეთესო მეთოდისტ-მასწავლებლების მეშვეობით კონსულტაციების ჩატარება,

ე) საჭირო სახელმძღვანელოებისა და დამხმარე ლიტერატურის მიწოდება და სხვა.

12. მიზანშეწონილად იქნას ცნობილი ყველა რაიონებში, იმ მასწავლებელთა თათბირების ჩატარება, რომლებსაც დავალებული აქვთ გამოცდების ჩაბარება სხვადასხვა კურსზე და საგნებში, და დაისახოს კონკრეტული ღონისძიებანი გამოცდების განსაზღვრულ ვადებში ჩატარების უზრუნველსაყოფად.

13. თათბირს მიზანშეწონილად მიაჩნია განსახკომმა შეიტანოს ცვლილებები ატესტაციაში გატარებულ იმ მასწავლებელთაგან გამოცდების ჩაბარების დაწესებულ ვადებში, რომელთაც დავალებული აქვთ პედმინიმუმისა და პედსწავლებლის სრული კურსის ჩაბარება მომ. წლის 1 აგვისტომდე. დაევალოს მათ მომავალი წლის მაისის ბოლომდე გამოცდების ჩაბარება. წინააღმდეგ შემთხვევაში დაისვას საკითხი მათი მასწავლებლობიდან განთავისუფლების შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## IV. წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის შესახებ.

პარტიისა და მთავრობის სისტემატური მზრუნველობის შედეგად ჩვენი სამშობლო მოწინავე კულტურულ ქვეყნად იქცა. უდიდესი წარმატებებია მოპოებული სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. საბჭოთა კავშირში უზრუნველყოფილია ყველა მოქალაქის უფლება სწავლა-განათლებაზე, რაც დაკანონებულია **სტალინური** კონსტიტუციით, დიდი მუშაობაა ჩატარებული წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის სალიკვიდაციოდ. საკავშირო სახკომსაბჭოსა და საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 1936 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილებით და საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 1936 წლის 12 მარტისა და 33 ოქტომბრის დადგენილებით წერა-კითხვის უცოდინარობის სრული და ძირითადად მცირემცოდნეობის ლიკვიდაცია უნდა დამთავრებულიყო 1937 წლის ბოლოსათვის.

საკავშირო სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნილება იმის შესახებ, რომ საბოლოოდ დამთავრებულიყო 1937 წელს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია — საქ. სსრ განსახკომის მოზრდილთა განათლების სამმართველოს და ადგილობრივი განგანყოფილებათა დანაშაულით ჩაშლილ იქნა.

მიუხედავად იმისა, რომ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დამთავრება საქ. სსრ წარმოადგენს გადაუდებელ ამოცანას და განსაკუთრებული ადგილი უნდა ეკავოს მას მთელ ჩვენს მუშაობაში — სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ზოგიერთი ხელმძღვანელები (აჭარის და აფხაზეთის ასსრ განსახკომი, სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის გან. განყოფილება, დუშეთის, ჭიათურის, ქ. თბილისის, ბაშკიჩეთის, წალკის, გეგეჭკორის და სხვ. განგანყოფილებები) უკანა რიგში აყენებენ ამ საქმეს და თავისი პირველი და პირდაპირი მუშაობის საგნად არ სთვლიან.

მიმდინარე წლის ოქტომბერ-ნოემბრის თვეში ჩატარებულმა გამოკვლევამ გამოამჟღავნა, რომ წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სწავლება რიგ რაიონებში არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული, ეს კი მოწმობს იმას, რომ მავნებლობის შედეგების ლიკვიდაცია სახალხო განათლების ამ საპასუხისმგებლო უბანში ჯერ კიდევ სუსტად მიმდინარეობს.

ზოგიერთი განათლების განყოფილებებს (ყვარელი, გურჯაანი, საგარეჯო, სამტრედია და სხვ.) დღემდე არა აქვთ წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა შორის მუშაობის კონკრეტული გეგმები. არ სწარმოებს წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სკოლების სისტემატური შემოწმება, სწავლების ხარისხის გამაუმჯობესებელი ღონისძიებების გატარება; განათლების ორგანოების მხრივ არ არის მიღებული ამომწურავი ზომები მეცადინეობაზე მსმენელთა დასწრების უზრუნველსაყოფად.

მიუხედავად განსახკომის დირექტივებისა და მითითებებისა, აჭარის, აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის განსახკომებმა, ბაშკიჩეთის, ჭიათურის, თიანეთის და სხვ. განგანყოფილებებმა ვერ გარდაქმნეს მუშაობა და ვერ უზრუნველყვეს წერა-კითხვის უცოდინართა მთელი კონტიგენტის სწავლებაში ჩაბმა და წარმოების პრინციპის მიხედვით მეცადინეობის ორგანიზაცია.

თათბირი სთვლის, რომ ყველა ზემოაღნიშნული და კიდევ სხვა ნაკლოვანებებს ადგი-

ლი აქვს იმის გამო, რომ სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებმა მთელი პასუხისმგებლობით ვერ მოჰკიდეს ხელი წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სწავლების საქმეს და ვერ უზრუნველჰყვეს უმოკლეს დროში მავნებლობის შედეგების სრული ლიკვიდაცია და მუშაობის ბოლშევიკური სტილის დანერგვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვერც მოზრდილთა განათლების სამმართველომ შესძლო თავის დროზე ადგილებზე ოპერატიული ხელმძღვანელობის გაწევა.

იმისათვის, რომ აღმოფხვრილი იქნეს წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სწავლების საქმეში გამოვლინებული ნაკლოვანებანი და უზრუნველყოფილ იქნეს წერა-კითხვის უცოდინარობის სრული და ძირითადად მცირემცოდნეობის ლიკვიდაცია თათბირს საჭიროდ მიაჩნია:

1. აჭარის, აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის განსახკომებმა და ყველა საქალაქო და სარაიონო განგანყოფილებამ დაუყოვნებლივ ჩააბან (საწარმოო პრინციპის მიხედვით) სწავლებაში ყველა წერა-კითხვის უცოდინარი (19—50წ.), რომლებიც დღემდე სწავლების გარეშე იყვნენ დარჩენილნი.

2. დაევალოს აჭარის, აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის განსახკომებს და საქალაქო და სარაიონო განგანყოფილებათა გამგეებს, პირადი პასუხისმგებლობით უზრუნველჰყონ ყველა პირობების შექმნა (ბინა, გათბობა, განათება, სასწავლო ნივთებით მომარაგება, მეთოდური ხელმძღვანელობა, მასწავლებელთა და კულტარმიელთა დაკომპლექტება, მუშაობის გამოცდილების განზოგადოება და სხვ.) წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისა და მცირემცოდნეთა სწავლების მოსაწყობად.

3. როგორც წესი მტკიცედ დადგენილი იქნეს მეცადინეობის დღეები, საათი და გაკვეთილის ცხრილი. მასწავლებლებს, კულტარმიელებს უნდა ჰქონდეთ პროგრამის მიხედვით შედგენილი სამუშაო გეგმები და დღიურები, რის საფუძველზე უნდა სწარმოებდეს მეცადინეობა.

4. დაევალოს სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ წერა-კითხვის უცოდინარ და მცირემც[illegible]დელთა სწავლებას, ამ მხრივ სრული სიზუსტით განხორციელებული იქნეს განსახკომის ა/წ. 31 ოქტომბრის № 1015 დირექტივა.

5. განგანყოფილებებმა დროულად აღრიცხონ და ჩააბან სწავლებაში სეზონურ სამუშაოებზე და ახალმშენებლობაზე ჩამოსული წერა-კითხვის უცოდინარნი და მცირემცოდნენი.

6. აჭარის, აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის განსახკომებმა და საქალაქო და სარაიონო განგანყოფილებებმა სრულ წესრიგში მოიყვანონ წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სწავლების მეურნეობა და ზუსტად გაატარონ განსახკომის ა/წ. 19 ნოემბრის, № 1059 დირექტივა.

7. იმისათვის, რომ გაუმჯობესებული იქნეს ლიკსკოლის მასწავლებლებზე და კულტარმიელებზე მეთოდური ხელმძღვანელობა დაევალოს მოზრდილთა განათლების სამმართველოს:

ა) დამატებით დაამუშაოს მეთოდური წერილი წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სკოლებში მშობლიური ენისა, არითმეტიკისა და გეოგრაფიის სწავლების დაყენების შესახებ და მიაწოდოს ადგილებს ა/წ. 15 დეკემბრამდე.

ბ) აჭარის, აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის განსახკომებმა და საქალაქო და სარაიონო განგანყოფილებათა გამგეებმა პირადი პასუხისმგებლობით უზრუნველჰყონ, რათა განათლების განყოფილებაში მუშაობდეს სპეციალური ინსპექტორი წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სკოლების ხაზით, რომელსაც უნდა ჰქონდეს საკმაო პედაგოგიური და მეთოდური გამოცდილება.

გ) წინადადება მიეცეს არასრული საშუალო და საშუალო სკოლების, მეთოდკაბინეტების დირექტორებს, რათა სისტემატური მეთოდური დახმარება აღმოუჩინონ წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სკოლების მასწავლებლებს და კულტარმიელებს.

დ) განათლების განყოფილებებმა, როგორც წესი, გაუწიონ მეთოდური ხელმძღვანელობა და

დახმარება კავშირის ხაზით არსებული ლიკ-სკოლების მასწავლებლებს და კულტარმიელებს. შეამოწმონ აღნიშნულ სკოლებში სწავლების ხარისხი, გაკვეთილის გადაცემის ორგანიზაცია და სხვ.

8. დაევალოს აჭარის განსახკომს და ეროვნულ უმცირესობათა რაიონებისა (ადიგენი, ბაშკიჩეთი, ასპინძა, ახალციხე, ახალქალაქი, ყარაიაზი, ბორჩალო, წალკა და ლუქსემბურგი) განგანყოფილებების გამგეებს მტკიცედ უზრუნველჰყონ ჭრა-კერვის სკოლების მუშაობა განსახკომის მიერ დამტკიცებული დებულებებით.

9. დაევალოს აჭარის, აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის განსახკომებს და საქალაქო და სარაიონო განგანყოფილებათა გამგეებს ზუსტად გაატარონ წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სკოლების მასწავლებელთა შრომის ხელფასის ანაზღაურება საკავშირო სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 1937 წლის 10 იანვრის დადგენილების მიხედვით და ამის შესაბამისად დაშვებული მითითებებით.

განათლების განყოფილებათა გამგეები პასუხისმგებელნი არიან ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების სრული სისწორით ათვისებაში. ამიტომ ადგილობრივი პირობების მიხედვით (სიშორის გამო სპეციალური მუშაკის დაქირავება, მთაგორიანი ადგილმდებარეობა და სხვ.) ყოველ ცალკე შემთხვევაში დასაშვებია ფასიანი ქსელის გადიდება, უსათუოდ ბიუჯეტის ფარგლებში და რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებთან შეთანხმებით.

10. დაევალოს განგანყოფილებათა გამგეებს ფართოდ ჩააბან წერაკითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სწავლების საქმეში არასრული საშუალო და საშუალო სკოლის მასწავლებლობა, აგრეთვე საბავშვო ბაღებისა და სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა მუშაკები, ქოხ-სამკითხველოებისა და ბიბლიოთეკების გამგეები, რაიონების მთელი კულტურული ძალები და უფროსი კლასის მოსწავლეები.

11. ფართოდ იქნეს გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება სკოლებსა, მასწავლებელ-კულტარმიელებსა, მშენებლებსა, სოფსაბჭოებსა და რაიონებს შორის და შემოღებულ იქნეს პრაქტიკაში მოწინავე მუშაკების დაჯილდოება. ამ მიზნისათვის განსახკომის სახსრებიდან გამოიყოს პრემიალური ფონდი 20.000 მანეთის რაოდენობით. აგრეთვე ადგილებზე გამოიყოს სათანადო თანხა მოწინავე მასწავლებელ-კულტარმიელთა დასაჯილდოვებლად.

12. მოზრდილთა განათლების სამმართველომ უზრუნველჰყოს ადგილებზე ცოცხალი ხელმძღვანელობა-დახმარების გაწევა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ამ მიმართულებით მუშაობის მიმდინარეობას ეროვნულ უმცირესობათა რაიონებში.

13. არსებული გარღვევების ლიკვიდაციისათვის და წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სწავლების სწორად ორგანიზაციისათვის დაისვას საკითხი საქ. სსრ განათლების სახკომის წინაშე, რათა მიმაგრებული იქნეს წლის ბოლომდე პასუხისმგებელი მუშაკები წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის საქმეში შედარებით ჩამორჩენილ ადგილებზე (აფხაზეთი, სამხრეთ-ოსეთი, ადიგენი, წალკა, ბაშკიჩეთი, ჭიათურა, დუშეთი, თიანეთი და თელ-წყარო).

14. ეთხოვოს საქ. სსრ განათლების სახკომს, რათა დასვას საკითხი სათანადო უმაღლეს ორგანოებში სახელმწიფო კომისიის ჩამოყალიბების შესახებ, რომელიც მოაწყობს დეტალურ შემოწმებას იმ სოფსაბჭოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და რაიონების, სადაც მიღწეულია წერა-კითხვის სრული მცოდნეობა.

15. დაევალოს განგანყოფილებათა გამგეებს თვეში ორჯერ (15 და 30) წარმოადგინონ განსახკომში რაიონული ჯამლი წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის მიმდინარეობაზე.

16. 5 დეკემბრამდე წარმოდგენილი იქნეს განსახკომში მასალები ბიუჯეტის ათვისების შესახებ (1-ლი დეკემბრის მიხედვით).

17. დაისვას საკითხი ჟურნალი „კომუნისტური აღზრდისათვის“ და გაზეთი „საბჭოთა მასწავლებლის“ რედაქციის წინაშე, რათა სისტემატურად გაშუქებული იქნეს წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სწავლების საკითხები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## V. სასკოლო მშენებლობის შესახებ

1938 წლ. მშენებლობის გეგმის შესასრულებლად დაევალოს:

1. აბაშის განათლების განყოფილების გამგეს—მიიღოს ყოველგვარი და გადამჭრელი ზომები 1938 წელში გეგმით მშენებლობისათვის მიცემული თანხების ასათვისებლად, აბაშის სოც. კულტურის სახლის მშენებლობის დასამთავრებლად და აბაშის სკოლის მშენებლობის გეგმის შესასრულებლად.

2. ამბროლაურის განათ. განყ. გამგეს—უზრუნველყოს ამბროლაურის ბიბლიოთეკის მშენებლობის დამთავრება, სინათლის საშუალო სკოლის მშენებლობისათვის მიცემული თანხის ათვისება და 1939 წლის 1-ლ იანვრამდე—უპროექტო და უხარჯთ-აღრიცხვოთ დაწყებულ მშენებლობის პროექტით და ხარჯთ-აღრიცხვით უზრუნველყოფა (პატარა ონი, ხოტევი, ბარიეთი, შრომა).

3. აღბულაღის გან. განყ. გამგემ—უზრუნველჰყოს შიხილოს სკოლის მშენებლობის დამთავრება და ბოგვის სკოლისათვის გეგმით მიცემული თანხის მშენებლობაზე ათვისება.

4. ახალციხის განათ. განყოფილებამ დაამთავროს ენთელის სკოლის, ახალციხის საბავშო ბაღის მშენებლობა და საბოლოოდ დააზუსტოს სვირის სკოლის მშენებლობისათვის საჭირო თანხის რაოდენობის გამორკვევა.

5. ახალქალაქის განათ. განყოფილების გამგემ დაამთავროს ხოვეტის სკოლის მშენებლობა, ახალქალაქის საშუალო სკოლის მშენებლობისათვის მოცემული თანხის ათვისება და საბოლოოდ დააზუსტოს და აცნობოს განსახკომს უპროექტო და უხარჯთ-აღრიცხვოდ დაწყებულ მშენებლობის სია და გადმოგზავნოს სასკოლო მშენებლობის სამმართველოში მასალები ხარჯთ-აღრიცხვის და პროექტის შესადგენად არა უგვიანეს ა/წ. 10 დეკემბრისა.

6. ასპინძის განათ. განყ. გამგემ—დაამთავროს ვარგავის და ჩობარეთის სკოლების მშენებლობა.

7. ადიგენის გან. განყ. გამგემ—უზრუნველყოს ადიგენის და უდეს სკოლების მშენებლობის დამთავრება და არალის სკოლის მშენებლობისათვის გათვალისწინებული თანხის ათვისება.

8. ბოგდანოვკის განათ. განყ. გამგემ—დაამთავროს ბოგდანოვკის საბავშვო ბაღის და ორლოვკის სკოლის მშენებლობა, უზრუნველყოს ბოგდანოვკის საშუალო სკოლისათვის მიცემული თანხის ათვისება, და ეშტიას და განძას სკოლები ტეხ. პროექტით და ხარჯთ-აღრიცხვით.

9. ბაშკიჩეთის გან. განყ. გამგემ უზრუნველყოს ამამლოს და ბოსლევის სკოლების მშენებლობის დამთავრება, ბაშკიჩეთის სკოლის მშენებლობისათვის მიცემულ თანხის ათვისება.

10. ბორჯომის განათლების განყოფილების გამგეს—უზრუნველყოს დაჩქარებით დამთავრება: ბორჯომის არასრული საშუალო სკოლის, ბორჯომის საბ. ბაღის და ათვისება ბაკურიანის სკოლის მშენებლობისათვის მოცემული თანხისა.

11. ვანის განათლების განყოფილების გამგეს—უზრუნველყოს ძულუხის მშენებლობისათვის მიცემული თანხის ათვისება და მშენებლობის გეგმის შესრულება.

12. ბაღდათის განათლების განყოფილების გამგეს—წითელი ხევის მშენებლობისათვის მიცემული თანხის ათვისება.

13. ბორჩალოს განათ. განყ. გამგეს—უზრუნველყოს ალათ მამარლოს სკოლის მშენებლობა ტეხ. პროექტით და ხარჯთ-აღრიცხვით.

14. გეგეჭკორის განათ. განყ. გამგეს—უზრუნველყოს ლეხაინდრაოს სკოლის მშენებლობისათვის მიცემული თანხის ათვისება და გარ-

დამავალი მშენებლობის: დიდი-ჭყონის, ლეციცხვაიეს, ორქამუხურჩას, ნაგებერაოს, ხახარებაოს, თორგამული და ნაჯახოვოს ტექნიკური პროექტით და ხარჯთ-აღრიცხვით უზრუნველყოფა.

15. გორის განათ. განყ. გამგეს—უზრუნველყოს გორის საბავშვო ბაღის მშენებლობის დამთავრება, ქახრუელის სკოლის მშენებლობისათვის გაცემული თანხის ათვისება და გარდამავალი მშენებლობებისა:

1. რუისი 2. ქორდი 3. ზერთა 4. ზემო ახალსოფელი 5! ფიცესი ტექნიკურ პროექტებით და ხარჯთ-აღრიცხვებით უზრუნველყოფა.

16. თელავის განათ. განყ. გამგეს — დაამთავროს თელავის საბავშო ბაღის და ყარაჯალას სკოლის მშენებლობა, ათვისებულ იქნეს თელავის მშენებლობისათვის მოცემული თანხა და უზრუნველყოფილი იქნეს—ვანთას, რუისპირის და ყურდღელაურის სკოლის მშენებლობანი ტექნიკურ პროექტით და ხარჯთ-აღრიცხვით.

17. თიანეთის განათ. განყოფილებას—დაამთავროს არტაანის სკოლის მშენებლობა და უზრუნველყოს ჯიჯეთის სკოლის მშენებლობა ტექნიკურ პროექტით და ხარჯთ-აღრიცხვით.

18. კასპის განათ. განყ. გამგეს—ათვისებულ იქნას თელათგორას სკოლის მშენებლობისათვის მოცემული თანხა და უზრუნველყოფილ იქნეს ტექნიკურ პროექტით და ხარჯთ-აღრიცხვით გოსტიბეს სკოლის მშენებლობა.

19. ლაგოდეხის გან. განყ. გამგეს—უზრუნველყოს განათლების სკოლის მშენებლობის დამთავრება, ლელიანის სკოლის მშენებლობისათვის მოცემული თანხის ათვისება და ბუდიონოვკის სკოლა ტექნიკურ პროექტით და ხარჯთ-აღრიცხვით.

20. ლანჩხუთის განათ. განყ. გამგემ—უზრუნველჰყოს ჩიბათის სკოლის მშენებლობისათვის მოცემული თანხის ათვისება სუფსის და აბარაკის სკოლის მშენებლობა ტექნიკურ პროექტით და და ხარჯთ-აღრიცხვით.

21. ყვარელის განათ. განყ. გამგეს უზრუნველჰყოს ახალ-სოფლის და ყვარელის სკოლების მშენებლობისათვის მიცემული თანხების ათვისება და მათი ტექნიკურ პროექტით და ხარჯთ-აღრიცხვით მომარაგება.

22. ლუქსემბურგის განათ. განყოფილებამ—მიიღოს ზომები დარბაზის სკოლის მშენებლობისათვის მიცემული თანხის ასათვისებლად.

23. მახარაძის განათ. განყ. გამგემ—მიიღოს ზომები ჭანიეთის სკოლის მშენებლობისათვის მიცემული თანხის ასათვისებლად, ძიმითის და ბახვის სკოლების ტექნიკურ პროექტით და ხარჯთ-აღრიცხვით უზრუნველსაყოფად.

24. ონის განათ. განყ. გამგეს—უზრუნველჰყოს ონის სკოლის მშენებლობისათვის მოცემული თანხის ათვისება, ონის პედსასწავლებლის მშენებლობის დამთავრება და 1) ქვედის და 2) ბაჯიხევის სკოლების მშენებლობის ტექნიკურ პროექტით და ხარჯთ-აღრიცხვით მომარაგება.

25. სამტრედიის რაიონის გან. განყ. გამგეს—მიიღოს ზომები ძველი ოფეთის სკოლის მშენებლობის დასამთავრებლად.

26. სიღნაღის გან. განყ. გამგემ უზრუნველყოს ანაგის სკოლის მშენებლობისათვის მიღებული თანხის ათვისება და გარდამავალი მშენებლობის ტექნიკურ-პროექტით და ხარჯთ-აღრიცხვით.

27. საგარეჯოს განათ. განყოფილების გამგემ—უზრუნველყოს კაკაბეთის სკოლის მშენებლობისათვის მიცემული თანხის ათვისება, ვერონა, ბურდიანის და გალმა უბნის სკოლა ხარჯთ-აღრიცხვით.

28. თბილისის (გარეუბანი) განათ. განყ. გამგემ—უზრუნველჰყოს დიდი ლილოს სოც. კულტ. სახლის და მისაქციელის სკოლის მშენებლობების დამთავრება.

29. ჩოხატაურის განათ. განყ. გამგემ—უზრუნველყოს ჩოხატაურის საშუალო სკოლის და იანეულის სკოლის მშენებლობისათვის მიცემული თანხის ათვისება.

30. ჩხარის გან. განყ. გამგემ—მიიღოს ზომები ზედასაზანოს მშენებლობისათვის მიცემული თანხის ათვისებისათვის და ჩხარის სკოლის ტექნიკურ პროექტისა და ხარჯთ-აღრიცხვის დასამზადებლად.

31. წალკის განათ. განყ. გამგემ—უზრუნველყოს წალკის სკოლის მშენებლობისათვის

მიცემული თანხის ათვისება და ბეშტაშენის სკოლის მშენებლობა ტექნიკურ-პროექტით და ხარჯთ-აღრიცხვით.

32. წულუკიძის განათ. გან. უზრუნველჰყოს ივანდიდის სკოლის მშენებლობისათვის მიცემული თანხის ათვისება.

33. ჭიათურის განათ. განყ. გამგემ — მიიღოს გადამჭრელი ზომები ჭიათურის სკოლის და ხვანის სკოლის მშენებლობის დასამთავრებლად.

34. ხარაგოულის განათ. განყ. გამგემ უზრუნველჰყოს ღორეშის სკოლის მშენებლობის დამთავრება.

35. ცაგერის განათ. განყ. გამგემ — მიიღოს ზომები ცაგერის სკოლის მშენებლობისათვის მიცემული თანხის ასათვისებლად.

36. წალენჯიხის განათ. განყოფილებამ უზრუნველჰყოს ლიის და ჯვარის სკოლებისათვის მიცემული თანხის ათვისება და მოამარაგოს ისინი ტექნიკური პროექტით და ხარჯთ-აღრიცხვით.

37. ყაზბეგის განათ. განყ. გამგემ — მიიღოს ზომები სიონის სკოლის მშენებლობისათვის მიცემული თანხის ასათვისებლად და უზრუნველჰყოს ტექნიკური პროექტით და ხარჯთ აღრიცხვით 1. ცდო და 2. ხურტისი.

38. დუშეთის განათ. განყ. გამგემ — უზრუნველჰყოს დუშეთის და ბარისახოს სკოლების მშენებლობის დამთავრება და შატილის სკოლისათვის მიცემული თანხის ათვისება.

39. გურჯაანის გან. განყ. გამგემ — უზრუნველჰყოს გურჯაანის სკოლის მშენებლობის დამთავრება და ველისციხის და კარდანახის სკოლები ტექნიკური პროექტით და ხარჯთ-აღრიცხვით.

40. ზუგდიდის განათ. განყ. გამგემ — უზრუნველჰყოს ზუგდიდის სკოლის მშენებლობის დამთავრება და ტექნიკური პროექტით და ხარჯთ-აღრიცხვით — 1. ურთა, 2. დარჩელი 3. ერგეთი და 4. აბასთუმანი.

41. ცხაკაიას გან. განყ. გამგემ მიიღოს ზომები ზემოშხეფის სკოლის მშენებ. დასამთავრებლად და ტექნიკური პროექტით და ხარჯთ-აღრიცხვით ციხეთის და სკურის სკოლების მოსამარაგებლად.

42. აჭარის განსახკომს — უზრუნველჰყოს ქედის საერთო საცხოვრებლის და ღელვის სკოლის დამთავრება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

43. აფხაზეთის განსახკომს — უზრუნველჰყოს სოხუმის სკოლის და სოხუმის საბავშო ბაღის, პედინსტიტუტის მშენებლობის დამთავრება, გუდაუთის სკოლის მშენებლობისათვის მიცემული თანხის ათვისება და სოფლის სკოლების: წითელი ბესლეთის, ლეჩკოფის, ახალი გაგრის და კოლხიდის სკოლების დამთავრება და გარდამავალი მშენებლობები ტექნიკური პროექტით და ხარჯთ-აღრიცხვებით მომარაგება.

44. ოსეთის განსახკომს — უზრუნველჰყოს ორტევის, ბელოთის და ქვათეთრის სკოლების მშენებლობის დამთავრება, ვანთას სკოლისათვის მოცემული თანხის ათვისება და გარდამავალი მშენებლობების ტექნიკურ პროექტით და ხარჯთ-აღრიცხვით მომარაგება.

45. ქუთაისის განათ. განყ. გამგემ — მიიღოს ზომები ქუთაისის საბავშო ბაღის მშენებლობის დასამთავრებლად და ქუთაისის სკოლისა და მუზეუმისათვის მიცემული თანხების ასათვისებლად.

46. ყარაიაზის გან. განყ. დაამთავროს ყარაიაზის საბავშო კერა და სკოლა 1938 წელში.

47 დაევალოს ყველა განათლების განყოფილებათა გამგეებს, მოამარაგოს სკოლის მშენებლობა ხის მასალით კოოპერატიული და საბჭოთა სავაჭროების მეშვეობით და ადგილობრივ საშუალებათა გამოყენებით.

48. დაევალოს სასკოლო მშენებლობის სამმართველოს რაიონებიდან და ავტონომიურ რესპუბლიკებიდან და ოლქიდან მიღებული მასალების საფუძველზე დაამუშაოს და უზრუნველჰყოს გარდამავალი სკოლის მშენებლობა პროექტებით და ხარჯთ-აღრიცხვებით 1939 წლის 1 იანვრამდე.

49. კატეგორიულად აიკრძალოს მომავალში სკოლების მშენებლობის წამოწყება ასეთის წინასწარ განსახკომში გაფორმების და ნებართვის მიღების გარეშე. აკრძალულ იქნეს აგრეთვე განსახკომის მიერ დამტკიცებულ პროექტში, რაიმე ცვლილებების შეტანა თვით განსახკომიდან მიღებული დასტურის გარეშე.

50. დაევალოს ავტონომიურ რესპუბლიკების და ოლქის განსახკომებსა და რაიგანათგანყოფილების გამგეებს სისტემატურად და დაუგვიანებლად გზავნონ განსახკომში დეკადური ცნობები (ყოველი თვის 10, 20, და 30 რიცხვის მდგომარეობის მიხედვით) სასკოლო მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ.

51. აღიძრას შუამდგომლობა საქართველოს სახკომსაბჭოს წინაშე, რათა დაავალდებულოს რაიაღმასკომის თავმჯდომარეები მათ აპარატში შემავალ კომუნალურ მეურნეობათა ინჟენრებზე სასკოლო მშენებელ. ხელმძღვანელობა და კონტროლის გაწევის მოვალეობის დაკისრება, ანდა სასკოლო მშენებლობის საქმის რაიონებში უკეთ დაყენების მიზნით 1939 წლიდან რაიგან. განყ. აპარატის შტატში გათვალისწინებულ იქნეს ინჟენერი მშენებელი.

## VI. სკოლის პასპორტიზაციის შესახებ

თათბირი აღნიშნავს, რომ სკოლის პასპორტიზაციას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, სკოლის შესახებ პარტიისა და ხელისუფლების დადგენილებათა განხორციელებისათვის. ამიტომ პასპორტიზაციის წარმატებით და მოცემულ ვადებში ჩატარებისათვის საჭიროდ თვლის გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. ყველა რაიონში განათლების განყოფილებებთან ადგილობრივი ორგანიზაციების მონაწილეობით შესდგეს რაიონში სკოლების პასპორტიზაციის ჩატარების ხელმძღვანელი შტაბი. ყოველდღიური და კონკრეტული ხელმძღვანელობის და კონტროლის გასაწევად შტაბის წევრები მიმაგრებულ იქნეს პასპორტიზაციის ჩატარების პერიოდში სკოლებზე.

2. განათლების განყოფილების ხელმძღვანელობით 1 დეკემბრამდე ყველა რაიონში მოწვეულ იქნეს სკოლების დირექტორებისა და გამგეების ერთდღიანი თათბირი სკოლის პასპორტიზაციის ჩატარების მიზნების და წესის (ინსტრუქცია, პასპორტი) გასაცნობად.

3. პასპორტების პირველი ეგზემპლარების შევსება დაწყებული იქნეს 1|XII-ს და დამთავრდეს 15 დეკემბერს.

პასპორტების სისწორით შევსების შემოწმება და მიღება სარაიონო შტაბების მიერ თითოეულ სკოლასთან დაწყებულ იქნეს 15 დეკემბრიდან და დამთავრებული 25|XII-ს, ხოლო შტაბების ოქმი პასპორტების ვარგისიანობაზე და მიღებაზე გადაეგზავნოს განსახკომს.

პასპორტის დანარჩენ ეგზემპლარების გადაღება მოხდეს მას შემდეგ, როცა შტაბები წარუდგენენ განსახკომს სათანადო ოქმებს პასპორტების პირველი ეგზემპლარების ვარგისიანობის შესახებ და მათ მიღებაზე.

4. განსახკომმა უზრუნველყოს განათლების განყოფილებები და სკოლები ინსტრუქციით, პასპორტებით და ცოცხალი კონკრეტული ხელმძღვანელობით, ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის გამოყოფილ რესპუბლიკურ შტაბის საშუალებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 5555

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1938 წ. 3 დეკემბერი

§ 1. რაიონების განგანყოფილებათა გამგეების რესპუბლიკური თათბირის მიერ მიღებული პრაქტიკული ღონისძიებანი — დამტკიცდეს.

§ 2. დაევალოს აფხაზეთის და აჭარის ასსრ განსახკომებს, სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის განსახკომს და ქალაქებისა და რაიონების განგანყოფილებათა გამგეებს, პირადი პასუხისმგებლობით უზრუნველჰყონ ზემოაღნიშნული ღონისძიების რეალიზაცია.

§ 3. დაევალოს სახელგამს ა/წ. 15 დეკემბრამდე გამოსცეს წერა-კითხვის უცოდინართათვის:

1. ანბანი (დამატებით) . . . . . 10.000 ცალი
2. არითმეტიკა . . . . . . . . 25.000 „
3. პროგრამა (დამატებით) . . 3.000 „

მცირემცოდნეთათვის:

1. საკითხავი წიგნი . . . . . . 80.000 ცალი
2. არითმეტიკა . . . . . . . . 70.000 „
3. გეოგრაფია . . . . . . . . 78.000 „

მეთოდური წერილები:

1. ქართ. ენის სწავლ. შესახ. . 5.000 ცალი
2. არითმეტიკის „ „ . . . 5.000 „
3. გეოგრაფიის „ „ . . . 3.000 „

§ 4. განსახკომის სამმართველოებისა და განყოფილებების ინსპექტორების მოვალეობად მიჩნეულ იქნეს, რომ ისინი ადგილებზე მივლინებების დროს ღებულობდნენ დავალებებს მოზრდილთა განათლების სამმართველოდან წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სწავლების საკითხებზე.

§ 5. დაევალოს მოზრდილთა განათლების სამმართველოს უფროსს ამხ. მუჩიაშვილს 5 დღის ვადაში გადასინჯოს განსახკომის რწმუნებულთა კადრი და შედეგი მომახსენოს.

§ 6. განსახკომის რწმუნებულები ამხ. ს. სამედროვი (ბაშკიჩეთი), ამხ. მ. ურუმოვი (ახალციხე) და ამხ. გოგიავა (თელავი), განთავისუფლდნენ თანამდებობიდან, როგორც სუსტი მუშაკები, რომლებმაც თავი ვერ გაართვეს დავალებულ საქმეებს.

ვავალებ მოზრდილთა განათლების სამმართველოს უფროსს ამხ. მუჩიაშვილს 5 დღის ვადაში შეარჩიოს შესაფერისი კანდიდატები განსახკომის რწმუნებულთა თანამდებობებზე ახალციხესა, ბაშკიჩეთსა და თელავის რაიონებში და წარმომიდგინოს ისინი დასამტკიცებლად.

§ 7. წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა შორის სუსტი მუშაობისათვის გამოეცხადოს საყვედური პირად საქმეში შეტანით განგანყოფილების გამგეებს: ამხ. კვაჭაძეს (დუშეთი), ამხ. ღვალაძეს (ჭიათურა), ამხ. ორმოცაძეს (აღბულაღი), ამხ. ჩართოლანს (ზემო სვანეთი), ამხ. ბერძენიშვილს (ბაშკიჩეთი), ამხ. თათევოსიანს (ახალქალაქი) და ამხ. ნოზაძეს (ხაშური).

§ 8. წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა შორის მუშაობის ჩაშლისათვის და ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების არადანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის მიცემულ იქნეს პასუხისგებაში ქ. ბათუმის განგანყოფილების გამგე ვ. ქემხაძე.

§ 9. ვავალებ ჩემს მოადგილეს ამხ. მ. ბურჭულაძეს თვალყური ადევნოს ამ ბრძანების და პრაქტიკული ღონისძიებების ცხოვრებაში გატარებას და შედეგები მომახსენოს ყოველითვის დასასრულს.

სსსრ განათლების სახ. კომისარი **გ. კიკნაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საახალწლო ნაძვის ხის მოწყობის შესახებ

**აჭარისა და აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონ. ოლქის განსახკომებს, ყველა რაიონის და ქალაქის განათლების განყოფილების გამგეებს და სკოლების დირექტორებს (გამგეებს).**

· საზამთრო არდადეგების პერიოდში 30 დეკემბრიდან 10 იანვრამდის სკოლებსა და სხვა საბავშო დაწესებულებებში უნდა მოეწყოს საახალწლო ნაძვის ხეები. ნაძვის ხის ორგანიზაციას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს და ეს საქმე, შედარებით გასულ წელთან, უფრო ფართოდ და მხატვრულად უნდა მოეწყოს. საახალწლო ნაძვის ხე უნდა გახდეს მხიარული და ბედნიერი ბავშვების დღესასწაულად, რაც შექმნილია ჩვენს ქვეყანაში პარტიის, მთავრობისა და პირადად ამხანაგ **სტალინის** უდიდესი ზრუნვით ბავშვებისადმი.

ამისათვის აუცილებელია, ეს საბავშო დღესასწაული მხატვრულად გაფორმდეს და გაიჟღინთოს მხიარული და ცოცხალი შინაარსით· ნაძვის ხის მოწყობისას უნდა იხელმძღვანელოთ შემდეგით:

1. ნაძვის ხე დროულად უნდა მორთოთ. ამ საქმეში თვით ბავშვთა უშუალო მონაწილეობით და მასწავლებელთა და მშობლების ხელმძღვანელობით.

სხვადასხვა მოწყობილობათა დამზადების დროს უნდა ისარგებლოთ არა მხოლოდ ნაყიდი მასალებით, არამედ ფართოდ გამოიყენოთ თვით ბავშვთა ნაკეთობანი.

2. დღესასწაულის პროგრამა არ უნდა გადაიტვირთოს მრავალრიცხოვანი გამოსვლებით, არამედ მეტი დრო დაეთმოს მუსიკას, თამაშობას, ცეკვას, სიმღერებს, ბავშვთა თვითშემოქმედებას.

დღესასწაულზე უნდა გაითვალისწინოთ ბავშვების გამასპინძლება და დასაჩუქრება.

3. ნაძვის ხის მოწყობის დროს არავითარ შემთხვევაში არ დაუშვათ დარბაზში დიდძალ ბავშვთა თავმოყრა. იქ, სადაც სკოლის შენობის ფართობი საშუალებას არ იძლევა დაიტიოს ყველა ბავშვი, ნაძვის ხე უნდა მოეწყოს კლუბებში, კინოში, ან სხვა უფრო ფართო შენობებში.

ამ მიზნით სასურველია ნაძვის ხე მოაწყონ თვითეულ კლასისათვის, ან რამდენიმე კლასებისათვის ცალცალკე.

4. სავალდებულოა გულდასმით შეიმუშაოთ ხანძრის საწინაალმდეგო ღონისძიებები, სახელდობრ:

ა) ნაძვის ხეები გაანათოთ მხოლოდ ელნათურებით, ნაძვის ხის სანთლებით განათება კატეგორიულად აკრძალულია. სკოლებში ან საბავშვო დაწესებულებებში ელექტრონის უქონლობის შემთხვევაში, ნაძვის ხე უნდა მოეწყოს დღისით გაუნათებლად; ამასთან დაკავშირებით უნდა შეირჩეს მკვეთრი (კაშკაშა) ფერების მორთულობები და სათამაშოები, რომლებიც დღის სინათლეზე უფრო მეტი ეფექტიური იქნება.

ბ) შეიმუშავეთ გეგმა შენობიდან ბავშვების ორგანიზებულად გამოყვანის შესახებ.

გ) ნაძვის ხის მოწყობის დროს ღიად დატოვეთ ყველა სათადარიგო გამსვლელი და თვითეულ კარზე დააყენეთ მორიგე.

დ) შენობაში და ნაძვის ხის ახლოს იქონიეთ გასწორებული ცეცხლმქრობი.

ვ) ტოტების გახმობის აცილების მიზნით, ნაძვის ხე არ უნდა შეიტანოთ შენობაში გამშვენება-მოწყობამდე, ხოლო ის უნდა მორთოთ არა უადრეს 12 საათსა დღესასწაულის დაწყებამდის.

ზ) ნაძვის ხე დადგით შუა ოთახში (დარბაზში) მაგარ ჯვარედინ შესადგმელზე, ან ქვიშიან გეჯაში (ჟუთში), შესადგმელს დაუფინეთ თუნუქის ფურცელი, ან აზბესტი.

საჯარო ბიბლიოთეკა

თ) იატაკიდან აიღეთ ყველა ხალიჩა, ხოლო ფანჯრიდან და კარებიდან ჩამოხსენით ფარდები.

კ) ნაძვის ხე ისე დადგით, რომ მისი ტოტები და წვერი არ მიეკაროს ოთახის ჭერსა და კედლებს.

ლ) ნაძვის ხის შესადგმელი და ტოტები არ შემოსოთ ბამბით.

მ) ნაძვის ხეზე არ დაკიდოთ ისეთი სათამაშოები და მოწყობილობები, რომელთაც ადვილად ეკიდება ცეცხლი, ბამბეული მოწყობილობები უნდა იყოს დამზადებული ცეცხლგამძლე ბამბებისაგან, რომელიც გაჟღენთილია ისეთი ნივთიერებებით, როგორიც ნაჩვენებია სახანძრო დაცვის მთავარ სამმართველოს ინსტრუქციაში.

ნ) აკრძალულია ოთახში ბენგალური ცეცხლის და სხვადასხვა სახის შუშხუნების ანთება.

ო) აიკრძალოს ბავშვების და მოზრდილების ჩაცმა ბამბის, მარლის ქაღალდის და სხვა კოსტუმებით, რომელთაც ადვილად ეკიდება ცეცხლი.

დროულად შეამოწმეთ ელექტროგაყვანილობის წესრიგში ყოფნა შენობებში.

5. ვაფრთხილებთ სკოლების გამგეებს, დირექტორებს და სარაიონო საქალაქო განათლების განყოფილების გამგეებს, რომ ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებათა დარღვევის და ბავშვების უბედურ შემთხვევის პირობებში, ისინი მიცემული იქნებიან სასტიკ პასუხისგებაში.

სასტიკი კანტროლი გაეწიოს ხანძრის საწინააღმდეგო წესების მტკიცედ დაცვას, როგორც ეს ნაჩვენებია ამ წერილში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლების სახალხო კომისრის მოადგილე ლ. გეგეშიძე

საშუალო სკოლების სამმართველოს უფროსი ბ. ქიზირია

დაწყებითი სკოლების სამმართველოს
უფროსი უ. ოზოლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლის დირექტორებს (გამგეებს).

აფხაზეთის და აჭარის ასს რესპუბლიკათა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განსახკომებს, საქართველოს სსრ ყველა სარაიონო და საქალაქო განათლების განყოფილებათა გამგეებს.

## დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლებში საზამთრო არდადეგების პერიოდში მოსწავლეთა დასვენება-გართობის ორგანიზაციის შესახებ.

30 დეკემბერს სკოლებში წყდება მეცადინეობა და იწყება საზამთრო არდადეგები. სტალინური ზრუნვით გარემოცული ჩვენი ქვეყნის ბედნიერი მოსწავლე ახალგაზრდობა დიდი აღტაცებით ემზადება საზამთრო არდადეგების შესახვედრად, რომელსაც უკავშირდება ყველა სკოლაში მხიარული საახალწლო ნაძვის ხის მოწყობა.

სახალხო განათლების განყოფილების გამგეების ოპერატიული ხელმძღვანელობით, სკოლების დირექტორებმა და გამგეებმა, მასწავლებელთა კოლექტივის თანამონაწილეობით, უნდა შეადგინონ არდადეგების ჩატარების კონკრეტული გეგმა და დასახონ სათანადო ღონისძიებანი არდადეგების პერიოდში მოსწავლეთა დასვენება-გართობის სანიმუშო ორგანიზაციისათვის.

გეგმა ძირითადად უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ მომენტებს:

ა) განსახკომის ინსტრუქციის თანახმად საახალწლო ნაძვის ხის მოწყობას.

ბ) ლიტერატურული მხატვრული საბავშვო დილა-საღამოების ჩატარება მშობლების მიზიდვით.

გ) თამაშობანი (მსუბუქი—ფიზკულტურული და სხვა სახისა).

დ) კინო-სურათების ორგანიზებული ჩვენება.

ე) მუსიკა-ცეკვა-თამაშობის მოწყობა დასხვ. კულტურული გართობა-დასვენების პროცესში ფართო გასაქანი უნდა მიეცეს ბავშვთა თვითშემოქმედებას და ინიციატივას და არავითარ შემთხვევაში ადგილი არ უნდა ექნეს რაიმე ძალდატანებას მოსწავლეთა მიმართ ამ დასვენება-გართობაზე დასწრებისათვის.

გართობა და დასვენება უნდა იყოს ისე სახალისოდ და წარმტაცად მოწყობილი, რომ ის მოსწავლეებს იზიდავდეს და აღფრთოვანებდეს.

არდადეგების პერიოდში მოსწავლეებს არ უნდა მიეცეს არავითარი საშინაო დავალება, არ უნდა მოეწყოს ისეთი ექსკურსიები, რომელნიც სასწავლო-აკადემიურ ხასიათს ატარებენ, საერთოდ იმგვარი რაიმე, რომელიც გამოიწვევს ბავშვთა დასვენება-გართობის ნაცვლად გადატვირთვას და დალლას.

საზამთრო არდადეგებისათვის სკოლის შენობა უნდა მოირთოს საზეიმოდ, შესაბამისად მოირთოს სკოლის ფიზკულტურისა და საერთო დარბაზებიც.

საბავშვო სათამაშოებისათვის გამოყოფილ უნდა იქნეს რამდენიმე სასკოლო ოთახი სათანადო გაფორმებით. წესრიგში უნდა იქნეს მოყვანილი სასკოლო ბიბლიოთეკა.

კინო-სურათებით და სხვა სანახაობებით მოსწავლეთა მომსახურეობის დროს ყურადღება უნდა მიექცეს საბავშვო სურათებისა და

პიესების შერჩევის საქმეს, რომელთა ჩვენება უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის უმთავრესად უნდა მოეწყოს დღის საათებში.

არდადეგების პერიოდში—სკოლებში, კინო თეატრებში, კლუბებში და საერთოდ იქ, სადაც განზრახული იქნება ბავშვთა შეკრება, დაწესდეს მასწავლებელთა, მშობელთა, ექიმთა, მოსწავლეთა და პიონერთა ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით სისტემატური მორიგეობა, რომლებსაც დაევალებათ ფხიზელი მეთვალყურეობა, როგორც ბავშვთა ქცევისა, ისე ამათუიმ სახის გართობა დასვენების ნორმალურად და წესიერად ჩატარებისათვის.

არდადეგების დასასრულს (3 დღით ადრე) უნდა მოხდეს სკოლის მთელი შენობის გაწმენდა-დასუფთავება, დეზინფექცია, საკლასო ოთახებისა და საერთოდ მთელი სკოლის წესრიგში მოყვანა, იმ ვარაუდით, რომ სწავლის განახლების პირველ დღიდანვე მოსწავლე ახალგაზრდობა მხიარულად, ენერგიულად, ახალი ძალღონითა და ენტუზიაზმით შეუდგეს ნორმალურ მუშაობას.

სახ. განათლების განყოფილებათა გამგეებმა შეამოწმონ სკოლებში არდადეგების მიმდინარეობა და შედეგები წარუდგინონ განსახკომს არა უგვიანეს 20 იანვრისა.

განათლების სახალხო კომისრის მოადგილე ლ. გეგეშიძე.

საშუალო სკოლების სამმართველოს უფროსის მოად. გრ. ხაჯაია

დაწყ. სკოლების სამმართველოს უფროსი უ. ობოლაძე

პ/მგ. რედაქტორი ლ. გეგეშიძე პ/მგ. მდივანი ს. ცაიშვილი

სახკომსაბჭოს სტამბა „კომუნისტი", შეკვ. № 1235 ტირ. 5000 მთავლ. № ა-4930